# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 16 ოქტომბერი, 2015 წელი.

№194 (7839)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.





## ირაკლი ღარიბაშვილი: საქართველო ასრულებს რეგიონალური ცენტრის როლს, რაც იყო კიდეც მისი მისია ათასწლეულების განმავლობაში

თბილისში „აბრეშუმის გზის“ ფორუმი გაიხსნა, რომელიც რუსთაველის თეატრში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნა.

**„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმს“ სტუმრობენ: ჩინეთის სინძიან-უიღურეთის ავტონომიური რეგიონის გუბერნატორი შუქრათ ზაქირი; აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერი აბიდ შარიფოვი; ყირგიზეთის ვიცე-პრემიერი ვალერი დილი; აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის მდივნის მოადგილე ბრიუს ენდრიუსი; გაერთიანებული საამიროების კულტურის, ახალგაზრდობისა და სოციალური განვითარების მინისტრი, შეიხი ნაჰაიან მუბარაქ ალ-ნაჰაიანი; აზიის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ვენჩაი ჟანგი; ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ლასო ბარანია; „ეკონომისტის“ წარმომადგენელი ერნანდო დე სოტო და მსოფლიოს საინვესტიციო კომპანიების პირველი პირები.**

**„აბრეშუმის გზის ფორუმი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. ბედნიერი ვარ, რომ თქვენ მასში მონაწილეობთ. საუკუნეების განმავლობაში ისტორიული აბრეშუმის გზა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი სახმელეთო მარშრუტი, რომელიც აკავშირებდა ევროპასა და აზიას. ეს იყო უნიკალური გზა, რომელიც იქცა კეთილდღეობისა და ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობების წყაროდ. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ის ხელს უწყობდა სხვადასხვა ქვეყანას შორის ცოდნისა და გამოცდილების გაცვლას და კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას. დღეს, საყოველთაო კეთილდღეობისა და თანამშრომლობის ამ მნიშვნელოვანი დერეფნის გამოცოცხლებით, ჩვენ ვდგამთ სერიოზულ ნაბიჯს“,** — აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ამ ფორუმის ფარგლებში ჩვენ ყველამ ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ, რათა აღვადგინოთ აბრეშუმის გზა, აღმოვფხვრათ აქტიური ინტეგრაციის წინ მდგარი დაბრკოლებები და წვლილი შევიტანოთ საყოველთაო ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში. აბრეშუმის გზის ქვეყნები გამოირჩევიან დინამიკურობით. ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების წყალობით, ჩვენ გვაქვს ძლიერი და მზარდი ეკონომიკა. თუმცა, მიუხედავად ჩვენი ინდივიდუალური მიღწევებისა, ჩვენი პოტენციალის სრულად ამოქმედება მოითხოვს რეგიონალურ თანამშრომლობას.

თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი თავს უყრის სახელმწიფოების, ბიზნესების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, ის უზრუნველყოფს სივრცეს ურთიერთსასარგებლო პროექტებისა და ინიციატივების წინსვლისთვის, განამტკიცებს არსებულს და ქმნის ახალ კავშირებს.

იხ. 2 გვ.



### მანანა კობახიძე: გვარამია კანონს არღვევს!

მოსამართლემ უნდა გაუქმოს ასეთი ტიპის თავდასხმებს, თუ ვერ გაუქმლებს, საერთოდ უნდა ჩამოშორდეს სასამართლო ხელისუფლებას

3



### გამოიძახებენ სააკაშვილს ⑥ ჰააგის სასამართლოში?

### სიმართლის მცოდნენი ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ!



17

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

# ირაკლი ღარიბაშვილი: საქართველო ასრულებს რეგიონალური ცენტრის როლს, რაც იყო კიდეც მისი მისია ათასწლეულების განმავლობაში

(პირველი გვერდიდან)

**ჩვენი წარმატება დამოკიდებული იქნება ჩვენს უნარზე, სრულად გამოვიყენოთ აბრეშუმის გზის შესაძლებლობები და პოტენციალი, რისთვისაც წამოვაყენებთ ახალ ინიციატივებსა და იდეებს კონკურენციის წასახალისებლად და ამავე დროს, რა თქმა უნდა, თავს ავარიდებთ კონფლიქტს“,** — განმარტა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა ღონისძიების ორგანიზებაში მხარდაჭერისთვის ჩინეთის მთავრობას, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტსა და აზიის განვითარების ბანკს მადლობაც გადაუხადა.

**„სხვათა შორის, დღევანდელი ღონისძიება პირველი შემთხვევაა, როდესაც ჩინეთის მთავრობა არის ჩინეთის ფარგლებს გარეთ გამართული საერთაშორისო ღონისძიების თანაორგანიზატორი. ჩვენი ფორუმისთვის დახმარების გაწევა, რომელიც ხორციელდება პრეზიდენტ სი ძინპინის ხელმძღვანელობით, ცხადყოფს პირადად მისი და, ზოგადად, ჩინეთის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერას და ლიდერის როლში აბრეშუმის გზის აღდგენის ხელშეწყობას.**

**გარდა ამისა, მადლობას მოვახსენებ აშშ-ის ხელმძღვანელობას საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების მტკიცე მხარდაჭერისთვის. ჩვენ დიდად ვაფასებთ ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ახალ სფეროებს, რომლებიც გვეხმარება საქართველოს ადამიანური კაპიტალისა და ეკონომიკური შესაძლებლობების კიდევ უფრო გაზრდაში...**

**ამ სცენაზე ჩვენ თავი მოვუყარეთ კავკასიას, ცენტრალურ აზიას, ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, ასევე ევროპასა და შუა აღმოსავლეთს, ევროპისა და აზიის განვითარების ბანკებს, რათა ერთად განვიხილოთ ამ ორი კონტინენტის დაახლოების გზები.**

**ეს კი ცხადყოფს, რომ საქართველო არის ყველა ქვეყნის მეგობარი და ის ადგილი, სადაც ბუნებრივად არის თავმოყრილი ყველა მხარე ნაყოფიერი დისკუსიის ჩასატარებლად.**

**ასევე უნდა ვახსენო სხვა პატივცემული სტუმრებიც, ევროპისა და აზიის 37 ქვეყნის მთავრობათა მაღალი რანგის წარმომადგენლები. ფორუმის ფარგლებში ისინი გაგვიზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს.**

**ჩვენ ასევე შემოგვიერთდებიან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მათ შორის, — გაერო, ევროკავშირი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, აბრეშუმის გზის ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის მთავრობათაშორისი კომისია, საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების მთავრობათაშორისი ორგანიზაცია და სარკინიგზო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირი“,** — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.




მისივე თქმით, ორი კვირის წინ, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას, აღწერა ქართული ოცნება და თქვა, რომ საქართველოს მთავრობის მიზანია საქართველოს გადაქცევა აყვავებულ ქვეყნად, რომელიც გონივრულად იყენებს თავის მდებარეობას სასიცოცხლო მნიშვნელობის გზაჯვარედინზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.

**„ეს ფორუმი არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მიზნისკენ. როგორც ფორუმის მასპინძელი ქვეყანა, საქართველო ასრულებს გაცვლისა და ურთიერთობების რეგიონალური ცენტრის როლს, რაც იყო კიდეც მისი მისია ათასწლეულების განმავლობაში“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. მისივე განმარტებით, საქართველო არის აბრეშუმის გზის უმოკლესი მარშრუტის ნაწილი.

ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, ორდღიანი ფორუმის განმავლობაში ისინი აბრეშუმის გზის შესაძლებლობებსა და გამოწვევებს განიხილავენ.

**„არც ახალი აბრეშუმის გზის პოტენციალი და არც ამ ფორუმის მასშტაბი არ არის მოკრძალებული. ჩვენ განვიხილავთ რეგიონალური თანამშრომლობის საკითხებს სხვადასხვა სექტორში: ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, სასტუმრო ბიზნესი/ტურიზმი და საერთაშორისო ვაჭრობა. ჩვენთვის სასარგებლო იქნება გამოცდილი მოდერატორებისა და სადისკუსიო ჯგუფების მონაწილეთა მოსაზრებები და რეკომენდაციები.**

**ამ ორი დღის განმავლობაში ჩვენ განვიხილავთ აბრეშუმის გზის შესაძლებლობებსა და გამოწვევებს, თუმცა მინდა გამოვყო ერთი საკითხი.**

**დღეს ჩინეთიდან ევროპაში პროდუქციის უმეტესობის გადაზიდვა ხორციელდება ზღვით, რასაც საკმაოდ დიდი დრო მიაქვს. აბრეშუმის გზის გაყოლებაზე მდებარე ქვეყნების თანამშრომლობა კი მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ ვაწარმოოთ ჩინეთიდან ევროპაში გადაზიდვები ბევრად უფრო სწრაფად და იაფად. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს ჩვენს თანამშრომლობას სატარიფო და საბაჟო სტრატეგიების გამარტივებისა და აგრეთვე ჩვენი ინფრასტრუქტურის ინტეგრაციისა და მოდერნიზაციის მიმართულებით. მოვუწოდებ ამ კონფერენციის ყველა მონაწილეს თანამშრომლობისკენ და ჩვენი პოტენციალის ხორცშესასხმელად ახალი გზების მოძიებისკენ. ამ ორი დღის განმავლობაში ველი თქვენს გამოხმაურებებს და მოსაზრებებს აბრეშუმის გზის მომავლის ხედვასთან დაკავშირებით“,** — მიმართა საქართველოს მთავრობის მეთაურმა ფორუმის მონაწილეებს.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, „აბრეშუმის გზის“ ფორუმში ასობით ბიზნესმენის მონაწილეობა ცხადყოფს სწორედ ამ გზის დიდ პოტენციალს.

**„განსაკუთრებით მინდა მივესალმო აქ მყოფ ყველა ბიზნესლიდერს როგორც საქართველოდან, ისე სხვა ქვეყნებიდან. ზოგი თქვენგანი მონაწილეობას მიიღებს ჯგუფურ დისკუსიებში და, დარწმუნებული ვარ, თქვენი აქ ყოფნის მიზანია საინვესტიციო შესაძლებლობების მოსინჯვა. სულ ფორუმში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 1 000 ადამიანი, რაც ძალიან შთამბეჭდავია ამ ტიპის პირველი ღონისძიებისათვის. კიდევ ერთხელ, მადლობა მობრძანებისთვის.**

**ის, რომ ამ ფორუმს ესწრება ასობით ბიზნესმენი, ცხადყოფს აბრეშუმის გზის დიდ პოტენციალს. დარწმუნებული ვარ, რომ ვაჭრობა და კომერცია ხელს შეუწყობს მშვიდობიან თანამშრომლობას.**

**თავს უფლებას მივცემ, დღეს აქ წარმოდგენილი ყველა სახელმწიფოს სახელით განვაცხადო, რომ ჩვენი ბიზნესლიდერები ჩვენი ქვეყნების შესანიშნავი ელჩები არიან, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენს საერთო კეთილდღეობას.**

**გამოვთქვამ იმედს, რომ თქვენ დაწვრილებით განიხილავთ ერთმანეთთან თანამშრომლობის გზებს. მოგიწოდებთ, მონაწილეობა მიიღოთ ბიზნესებს შორის დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში, რომელთა მოსაწყობად ჩვენმა ეკონომიკის სამინისტრომ ძალ-ღონე არ დაიშურა“,** — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

**„საქართველოს აქვს მტკიცე კავშირები ევროკავშირთან, ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების ჩათვლით, რეგიონში ისტორიულად ჩამოყალიბებული აქტიური ურთიერთობები და მზარდი თანამშრომლობა ვაჭრობის სფეროში ჩინეთთან, ინდოეთთან, იაპონიასა და შუა აღმოსავლეთისა და აზიის სხვა ქვეყნებთან, რის გამოც ჩვენი ქვეყანა იდეალური პლატფორმაა დღევანდელი დისკუსიისთვის.**

**ბოლო დროს თბილისი აქტიურად მონაწილეობს ხსენებული როლის შესრულებაში. დღეისთვის საქართველომ უკვე უმასპინძლა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიურ შეხვედრას და აზიის ინფრასტრუქტურული ინვესტიციების ბანკის პირველ სხდომას. გამოვთქვამ იმედს, რომ ეს ფორუმიც არანაკლებ წარმატებული იქნება“,** — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მასშტაბური საინვესტიციო ფორუმი თბილისში ორი დღის განმავლობაში გაგრძელდება. ღონისძიებას საქართველოს 31 ქვეყნის 800-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრება, მათ შორის სხვადასხვა მთავრობისა და ბიზნესწრეების წარმომადგენლები, ცნობილი ეკონომისტები და ჟურნალისტები.

# აბრეშუმის გზა გახდება ვაჭრობის, მეცნიერების ხელშეწყობის გზა

**აბრეშუმის გზა, ეს არის ეკონომიკური ინიციატივა, რომელიც ბევრ ახალ შესაძლებლობებს უქმნის იმ ქვეყნებს, რომლებიც ამ გზის გასწვრივ მდებარეობენ, — ამის შესახებ ჩინეთის სინძიანის უიგურთა ავტონომიური რეგიონის გუბერნატორმა შუქრათ ზაქირმა „აბრეშუმის გზის ფორუმზე“ სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა.**

მისი თქმით, დღევანდელი ფორუმის მიზანია მსჯელობა აბრეშუმის გზის პოტენციალის ათვისების შესაძლებლობებზე.

„მე წარმოვადგენ ჩინეთის მხარეს და მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველას, ასევე მადლობა საქართველოს მთავრობას და ჩემს ჩინელ კოლეგებს, მათი დიდი მუშაობისთვის, რაც მათ გასწიეს, რომ ეს ფორუმი ჩატარებულიყო. აბრეშუმის გზა არის უძველესი გზა და დღევანდელ სამყაროში ეს არის გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, რომ ყველამ დამატებითი სარგებელი მივიღოთ და მნიშვნელოვანია აბრეშუმის გზის პოტენციალის შემდგომი გაძლიერება, სწორედ ამიტომ ვართ აქ შეკრებილები. აბრეშუმის გზა ეს არის ეკონომიკური ინიციატივა, რომელიც ბევრ ახალ შესაძლებლობებს უქმის იმ ქვეყნებს, რომლებიც ამ გზის გასწვრივ მდებარეობენ. რაც შეეხება ჩვენს ოლქს, ეს არის პროვინცია



ჩინეთში, რომელიც არის ყველაზე დიდი თავისი ტერიტორიით. სინძიანის საზღვარი არის 560 ათასი კილომეტრი, გარდა ამისა, ეს არის პროვინცია, რომელიც გეოგრაფიულად ყველაზე ახლოს არის საქართველოსთან და 4 საათია პეკინიდან თბილისამდე, სინძიანის რაც შეეხება, 2 საათის საფრენზეა. რაც შეეხება სახმელეთო გზას ეს არის ნახევარი იმ მოცულობის გზისა, ვიდრე პეკინიდან რომ დავითვალოთ კილომეტრები“, — განაცხადა შუქრათ ზაქირმა.

მისივე თქმით, რაც შეეხება ჩინეთ-საქართველოს თანამშრომლობას, ის ბოლო პერიოდში გააქტიურდა.

„ჩვენ ბევრი მასშტაბური პროექტი უკვე განვახორციელეთ მომავალშიც გავაგრძელებთ ჩვენს თანამშრომლობას. ჩინეთი ეს არის ძირითადი მამოძრავებელი აბრეშუმის გზის პროექტის გაფართოებისა და განვითარებისა, ეს ჩვენი ოლქისთვის მნიშვნელოვანი ინიციატივაა. სინძიანის აქვს ბევრი მინერალური რესურსი, გარდა ამისა, ტურისტული თვალსაზრისით აქვს დიდი პოტენციალი. ჩვენ კულტურული თვალსაზრისითაც მაღალ ინტერესს ვიჩენთ და ყველა ამ ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენ დაინტერესებულები ვართ, რომ აქტიურად ვმონაწილეობდეთ აბრეშუმის გზის პროექტში. ეს არის უპრეცედენტო, ისტორიული შესაძლებლობა. ჩვენ ძალიან ბევრს ვმუშაობთ იმისთვის, რომ ვაჭრობას შეეწყოს ხელი, ლოჯისტიკა იყოს კარგად ფუნქციონირებადი და აბრეშუმის გზა გახდება ვაჭრობის, მეცნიერების, ტექნოლოგიების ხელშეწყობის გზა. გარდა ამისა, ჩვენ ვთავაზობთ მაღალხარისხიან სამედიცინო სერვისებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“, — განაცხადა შუქრათ ზაქირმა.

მისი თქმით, „აბრეშუმის გზის ფორუმი“, რომელიც თბილისში ტარდება, არის მნიშვნელოვანი ფორუმი, რომელიც იძლევა თანამშრომლობის შემდომი განვითარების შესაძლებლობას.



# მანანა კობახიძე: გვარამია კანონს არღვევს!



## მოსამართლემ უნდა გაუძლოს ასეთი ტიპის თავდასხმებს. თუ ვერ გაუძლებს, საერთოდ უნდა ჩამოშორდეს სასამართლო ხელისუფლებას

**პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის მანანა კობახიძის განცხადებით, ნიკა გვარამია არღვევს კანონს და მოსამართლემ უნდა აიძულოს ის, დაიცვას კანონი.**
**დღეს მანანა კობახიძე გვესაუბრება.**

**— პროცესები, რომელიც მოსამართლე ურთმელიძის გარშემო მიმდინარეობს (ვგულისხმობ მოსამართლის დედის გარშემო განვითარებულ მოვლენებს), კანონით, არის თუ არა ეს აცილების საფუძველი და როგორ ფიქრობთ, რატომ გახდა მოსამართლე ასეთი თავდასხმის ობიექტი?**

— ის ქმედებები, რასაც „რუსთავი-2“ და ბატონი გვარამია ახორციელებენ, არის მიზანმიმართული, ბინძური კამპანია ამ მოსამართლის დისკრედიტაციის მიზნით. რომელი მოსამართლეც არ უნდა ყოფილიყო ამ საქმის განმხილველი, დარწმუნებული ვარ, რომ ყველას მისამართით „რუსთავი-2“ და ნიკა გვარამია ამგვარად მოიქცეოდნენ.

ვფიქრობ, რომ მოსამართლემ ყველანაირად უნდა გაუძლოს ასეთი ტიპის თავდასხმებს. თუ ვერ გაუძლებს, მაშინ ეს საქმე კი არ უნდა აიცილოს, არამედ, საერთოდ უნდა ჩამოშორდეს სასამართლო ხელისუფლებას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაუძლოს ასეთი ტიპის შემოტევებს და მანიპულირებებს თუნდაც ოჯახის წევრებთან — დედასთან და მეუღლესთან დაკავშირებით.

**— გარდა იმისა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მოსამართლეზე ზეწოლა ისჯება, რამდენად ეთიკურია მხარის მიერ საქმეში ოჯახის წევრების ჩარევა და მით უმეტეს არასრულწლოვნის?**

— ეს არის პირდაპირ პროცესუალური დარღვევა. მოსამართლემ აუცილებლად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა ბერკეტი, რომ მხარეს არ მისცეს სასამართლოს და მოსამართლის შეურაცხყოფის უფლება. მახსენდება შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი მოსამართლის გადაწყვეტულებაზე გამეღიმა, რაც მოსამართლემ ჩამითვალა სასამართლოს უპატივცემულობაში და დამაჯარიმა.

როდესაც ღიად ხდება მოსამართლის უპატივცემულობა და შეურაცხყოფა, ასეთ შემთხვევაში, მოსამართლემ ყველა ზომას უნდა მიმართოს, მათ შორის დარბაზიდან გაძევებისა და დაჯარიმების ჩათვლით. სხვანაირად ვერ შედგება მართლმსაჯულება. ყველა ვალდებულია, პატივი სცეს სასამართლოს და, მით უმეტეს, გვარამია, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის გამოცდილება აქვს და ძალიან კარგად იცის, როგორ უნდა მოქცეს მოსამართლეს.

**— აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ გვარამია არღვევს კანონს? მეტიც, გვარამიამ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ურთმელიძეს თანხა ჰქონდა აღებული ამ საქმეში, სასამართლო სხდომაზე აღნიშნა, რომ მოსამართლეზე ასე შეგნებულად ისაუბრა, რათა მოსამართლე გაღიზიანებულიყო და ვერ ყოფილიყო მიკერძოებული...**

— რა თქმა უნდა, პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ გვარამია არღვევს კანონს და მოსამართლემ უნდა აიძულოს ეს ადამიანი, რომ კანონი დიცვას. მით უმეტეს, თუ ეს ხდება სასამართლოზე, ბუნებრივია, მოსამართლეს აქვს იმის ბერკეტი, რომ გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლება და არ დაუშვას სასამართლოს შეურაცხყოფა როგორც გვარამიას, ასევე ქიბარ ხალვაშის წარმომადგენლის მხრიდან.

„რუსთავი-2“-ის და ნაციონალური მოძრაობის ისტერიკა მიმართულია იმისკენ, რომ შექმნან არასტაბილურობის ფონი, რომელიც გამოადგებათ დესტაბილიზაციისთვის. ნურავინ მოიტყუებს თავს და ნუ იტყვის, რომ „რუსთავი-2“ არის თავისუფალი მედია. თავისუფალი მედია ნიშნავს, რომ არც ერთი პოლიტიკური ძალის გავლენის ქვეშ არ უნდა იყოს. „რუსთავი-2“ ნამდვილად არ არის თავისუფალი „ნაციონალური მოძრაობის“ გავლენისგან.

შესაბამისად, მოგონილია თემა, რომ თურმე თავისუფალი მედიის წინააღმდეგ მიდის ბრძოლა. დღეს ხელისუფლება არც ერთ მედიას არ აკონტროლებს და ამის სურვილიც არა აქვს. ამის მაგალითია „მე-9 არხი“, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა დახურა სწორედ იმიტომ, რომ ხელისუფლების ხელში არ ყოფილიყო რომელიმე მედიასაშუალება.

საქართველოში ყველამ იცის, რომ „რუსთავი-2“ არის პარტიული, მიკერძოებული ტელევიზია და არავითარი კავშირი სიტყვის თავისუფლებასთან არ აქვს. იცით, ოპოზიციურ ტელევიზიასაც არ დავარქმევ, იმიტომ, რომ აქ ოპონირებაში არ არის საქმე, აქ საქმე გვაქვს პირდაპირ პარტიული მიზნების განხორციელებასთან და სწორედ ამ მიზნებს ემსახურება „რუსთავი-2“.

**— თუმცა, დემოკრატიულ ქვეყანაში პარტიული ტელევიზიის არსებობა არ არის პრობლემა...**

— რა თქმა უნდა, შეიძლება პარტიას ჰქონდეს ტელევიზია და კი, ბატონო, ჰქონდეს, ოღონდ ეს აღიარონ. მე მგონია, რომ აღიარეს კიდეც და არც მალავენ. ფაქტია, რომ ამ ტელევიზიას თავისი, კერძო, „ნაციონალური“ მიზნები აქვს. მნიშვნელოვანია ის, რომ ხელისუფლება არანაირად არ ერევა ამ დავაში. ჩვენ პოზიციაც არ შეიძლება გვქონდეს ამ დავასთან დაკავშირებით. დავა მიმდინარეობს კერძო პირებს შორის.

ყოფილი მესაკუთრე ედავება ახალ მესაკუთრეს. ვინ მართალია და ვინ მტყუანი, ეს უნდა გაარკვიოს სასამართლომ. თურმე, რატომ მიმართა ყოფილმა მესაკუთრემ სასამართლოს და ამის გამო ადანაშაულო ხელისუფლება, ეს არის ძალიან დიდი უსინდისობა იმ ხალხისგან, ვისაც წარულში „იმედი“ აქვს დარბეული. უკაცრავად და, რა გამოდის, ქიბარ ხალვაშს სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ავუკრძალოთ?

**— ყოველ შემთხვევაში „რუსთვის-2“-ის პოზიციიდან თუ გამოვალთ, ხალვაშს არ უნდა მიემართა სასამართლოსთვის კუთვნილი ქონების დაბრუნების მიზნით...**

— თურმე ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა უფლება, რომ დაეტერორებინა ტელევიზიები, დაეხურა თოქ-შოუები, ეცემა ჟურნალისტები, იძულებით წაერთმია ქონება მედია მფლობელებისთვის, მათ შორის თქვენთვის და ყველას კარგად გვახსოვს presa.ge-ს საკითხი, ამ დროს კი, კერძო პირს უფლება არ აქვს, მიმართოს სასამართლოს. არ არის საჭირო ეს ისტერიკა. ურთმელიძით არ იწყება და არ მთავრდება მართლმსაჯულება. თუ არ იქნებიან ამ განაჩენით კმაყოფილი, არის მეორე და მესამე ინსტანცია, გაასაჩივრონ. დღეს სასამართლო არის თავისუფალი, ვიდრე ოდესმე იყო. ეს ის მოსამართლეები არიან, რომლებიც თავად დანიშნეს.

ჩვენ არც ერთი მოსამართლე არ გაგვიშვია და არ დაგვიტერორებია სასამართლო ხელისუფლება, როგორც თავად ატერორებდნენ. რცხვენოდეს გვარამიას, რომელმაც ძალიან კარგად იცის, ზეწოლის რა ბერკეტები იქნა გამოყენებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიმართ და თვითონ თავმჯდომარის ლადო ჭანტურიას მიმართ. რატომ გაუშვეს სისტემიდან, ვადა არ ჰქონდა ჭანტურიას? ასეთი წარსულის მქონე ადამიანები თავისივე დანიშნულ მოსამართლეებზე ახლა პრეტენზიებს ხელისუფლებას უყენებენ.

იგივე ურთმელიძე იყო სოფელ დიღმის მიწების საქმის მოსამართლე, როდესაც ვანო მერაბიშვილის და ჯაბა ებანოიძის ინტერესებით სოფელ დიღმის მოსახლეობას მიწები ჩამოართვეს. ამ სასამართლო პროცესის დროს 2 ადამიანი გარდაიცვალა. მაშინ გამოვიდეს გვარამია და თქვას, რომ ეს საქმე იყო შეკერილი, იყო ვანო მერაბიშვილის ინტერესებში და რომ ეს მოსამართლე იყო მაშინაც პროკურატურის გავლენის ქვეშ. ასე არ შეიძლება, როდესაც თქვენ წინააღმდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას, თქვა, რომ გავლენის ქვეშ არის და, როდესაც წინა ხელისუფლების დროს იღებდა გადაწყვეტილებებს, მაშინ ობიექტური იყო.

**გვარამია ამტკიცებს, რომ ხელისუფლება, მოსამართლე და პროკურატურა ერთობლივად მოქმედებენ „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ. როგორ ფიქრობთ, მიზანმიმართულად ხდება ხელისუფლების ჩართვა იმ საქმეში?**

რა თქმა უნდა, მათი მიზანია, ხელისუფლება ჩაითრიონ ამ დავაში და თითოეულ ჩვენს განცხადებებში რაღაცა სათავისოდ დაიჭირონ. ჩვენ ვემიჯნებით ამ დავას, გადაწყვიტოს სასამართლომ. ძალიან ნათელია მათი მიზანი და არ გამოუვათ. რისი იმედიც აქვს გვარამიას ან „რუსთავი 2“-ს“, მათი განზრახულობები ვერ ასრულებდა. ნაციონალურ მოძრაობას საზოგადოებაში არ აქვს მხარდაჭერა და დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოება არ დაუშვებს ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის დაბრუნებას.

**— თქვენ იმყოფებოდით სტრასბურგში, სადაც გქონდათ შეხვედრები, თქვენი დასავლელი კოლეგები სვამენ კითხვას ამ დავასთან დაკავშირებით და „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე პროცესებს აღიქვამენ როგორც თავისუფალ მედიაზე ზეწოლას?**

— პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ კითხვაც კი არ დასმულა ამ საკითხზე. არავითარი „რუსთავი-2“-ის თემა სტრასბურგში არ განიხილებოდა. პირიქით, ევროსაბჭოს ბოლო რეზოლუციაში ერთმნიშვნელოვნად არის ნათქვამი, რომ საქართველოში მედიაგარემო არის გაუმჯობესებული. სხვათა შორის, გუშინ შევხვდი ევროსაბჭოს დელეგაციას, ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე ვისაუბრეთ და მათ კითხვაც კი არ დაუსვამთ „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით. თუ სადმე დასვეს ეს საკითხი, მათ მიიღეს პასუხი, რომ ეს არის კერძო პირებს შორის დავა და, რომ სახელმწიფო ამ დავაში არ ერევა. ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

## ◉ ალიან-ჩალიანი

### საქართველოს მთავრობა ქუთაისი-სვანეთის დამაკავშირებელი გზის ახალ პროექტზე მუშაობს

**ამის შესახებ ჟურნალისტებს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განუცხადა. როგორც მან აღნიშნა, არის სხვადასხვა პროექტები, როგორიცაა ჩქაროსნული მატარებლები, რამდენიმე გვირაბის პროექტი.**

**„კონკრეტულად შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ ვმუშაობთ ქუთაისისა და სვანეთის დამაკავშირებელი გზის ახალ პროექტზე. სამწუხაროდ, ის პროექტი, რომელიც არსებობდა, არ აღმოჩნდა საერთაშორისო კომპანიებისთვის კონდიციური. ამიტომ ჩვენ ეს პროექტი ახლიდან დავიწყეთ“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.**

**მისივე თქმით, გარდა ამისა, მუშაობა მიმდინარეობს კურორტების განვითარების გენერალურ გეგმებზე. მათ შორის, ეს არის წყალტუბო, გონიო, სამხრეთ საქართველოს არაერთი მიმართულება.**

**„ეს პროექტები უკვე ფიზიკურად მზადდება და იქნება მზად ინვესტორებისთვის. ამიტომ ყველა ამ პროექტში ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს ცნობადობის მნიშვნელოვანი გაზრდით, მივაღწევთ გაცილებით უფრო გაზრდილ ინტერესს“ – განაცხადა კვირიკაშვილმა.**

**რაც შეეხება აჭარას, მისივე თქმით, აჭარა არის დღეს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო რეგიონი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. რაც შეეხება კონკრეტულ პროექტებს აჭარაში, მინისტრმა დაასახელა გონიოს პროექტი, სადაც, მისი თქმით, რამდენიმე მოდელი განიხილება. „ალბათ, უახლოეს პერიოდში იქნება მეტი კონკრეტიზაცია თვითონ აჭარის ხელმძღვანელობის მხრიდან“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.**

### შემოვლითი რკინიგზის პროექტი, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში განახლდება

**ამის შესახებ ჟურნალისტებს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განუცხადა. პროექტში გარკვეული კორექტირება შევიდა. მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული პროექტი მალე განახლდება.**

**„თბილისის შემოვლითი რკინიგზა ფინანსდებოდა ევროფონდებისგან მოზიდული რესურსით და, სავარაუდოდ, ამავე რესურსით გაგრძელდება ამ პროექტის დაფინანსება. ეს იქნება სუვერენული რესურსით დაფინანსებული პროექტი. შემდგომში, უკვე მომდევნო ეტაპზე, არ არის გამორიცხული, რომ ამ ტიპის პროექტებზე განხილული იქნას კერძო სექტორთან ერთად კონცესიური მოდელები“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.**

ინტერპრესი

№194. პარასკევი, 16 ოქტომბერი, 2015 წელი.

# როცა პოლიტიკური ცხოვრება სამოქალაქო ომის რეჟიმში გადაჰყავთ

**საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე გვესაუბრება ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი**



**— ბატონო ზაზა, „რუსთავი-2"-ის თემა ახლა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და განხილვადი გახლავთ. ხმაური, თითქმის ყველა შეფასება თუ განცხადება მედიის თავისუფლების პრობლემას ეხება. ხელისუფლების წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ „რუსთავი-2"-თან დაკავშირებით დაწყებული დავა კომპანიასა და კერძო პირს შორის დავაა, მასში ხელისუფლება არ ერევა და, შესაბამისად, საუბარი იმაზე, რომ საქართველოში მედიის თავისუფლება საფრთხეშია, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია... მონაწილეობს თუ არა ხელისუფლება მედიათამაშებში? როგორია ამ ეტაპზე ხელისუფლებისა და „ნაცმოძრაობის" მიზანი და ბრძოლის ტაქტიკა, თუ სტრატეგია?**

— თუ გავყვებით ლოგიკას, თუ ვის შეიძლება ეს ხელს აძლევდეს, ხელისუფლება ბუნებრივად აღმოჩნდება ეჭვმიტანილის მდგომარეობაში. თავს ავარიდებდი, ეს ეჭვი დადასტურებულ ფაქტად განმეცხადებინა. საქმე მხოლოდ ოპოზიციური მედიის დევნას არ შეეხება. საქმე უფრო შორს მიდის. გარე თვალისათვის მიმდინარე მოვლენები უეჭველ ნიშნად შეიძლება იქცეს, თუ რამდენად შორს ვართ ევროპული ღირებულებებისაგან და ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება სწორედ ამ სიშორეს განასახიერებს. გარდა ამისა, ისეთი შთაბეჭდილებაც შეიძლება შეიქმნას, რომ ხელისუფლებაში პუტინისტურმა ძალებმა იძალეს და ისინი მიზანდასახულად ქმნიან არგუმენტებს დასავლეთისაკენ ჩვენი სვლის შესაბრკოლებლად და, რომ ევროპასთან დაახლოების დეკლარირებული კურსი მხოლოდ მოცემული მომენტის ფასადია მათ ხელში.

მოგეხსენებათ, ასეთი შორს მიმავალი დასკვნების გამოტანისათვის სერიოზული არგუმენტებია საჭირო. ამიტომაც ვფიქრობ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ნიშნისმოგებით კი არ უნდა ილაპარაკონ „რუსთავი-2"-ზე, როგორც „ნაცმოძრაობის" პოლიტიკურ ინსტრუმენტზე, რითაც კიდევ უფრო აძლიერებენ ეჭვებს, არამედ უნდა იზრუნონ ჩვენი პარტნიორების დასარწმუნებლად, რომ პოლიტიკური მოტივებით დევნასთან არ გვაქვს საქმე. თავის მხრივ, ამ სიტუაციაშიც ზედმეტად სწორხაზოვანი ჩანს „ნაცმოძრაობის" სტრატეგია, „რაც უარესია, მით უკეთესის" პრინციპზე რომ აიგება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სულ რამდენიმე ხანში უვიზო მიმოსვლის საკითხი უნდა გადაწყდეს და ვერავითარი პოლიტიკური აზარტი ვერ გაამართლებს ამისთვის ხელის შეშლას.

მე მაინც მოვლენების განვითარებას დაველოდებოდი. არ გამოვრიცხავ, რომ ეს მართლაც არის ბანალური ბრძოლა ქონების გადანაწილებისათვის და თუ ხელისუფლებას რაიმე წვლილი მიუძღვის, ჯერ მხოლოდ მისი იმ წარმომადგენლების სახით, ვისთვისაც მედიასაშუალების არაობიექტურობა მისი დახურვის საფუძველი შეიძლება იყოს. თურმე, ჩვენი პარლამენტის უმრავლესობაში ასეთებიც ყოფილან. როგორც ჩანს, ისინი, ნებსით თუ უნებლიეთ, იმ დროში გვიპირებენ მიბრუნებას, როდესაც ერთადერთი „ბოლომდე ობიექტური" და მისაღები გაზეთები „პრავდა", „კომუნისტი" და ჩინური „ჟენმინ ჟიბაო" თუ იქნება. სწორედ ასეთებმა გააძლიერეს ეჭვი ხელისუფლების მიმართ და არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ქვეყნის გარეთაც.

ხელისუფლებაც არ აღმოჩნდა მზად ამ ბრალდებისათვის და თავის მართლების რეჟიმში უწევს ყოფნა. მისი ზოგი წარმომადგენელი კმაყოფილიც არის „რუსთავი-2"-ის წინააღმდეგ არსებული აგრესიით.

მართლაც, „რუსთავი-2"-მა მოახერხა და ბოლო წლების განმავლობაში დაიმსახურა ამგვარი დამოკიდებულება. იგი ყოველთვის განზე იდგა მთელი დანარჩენი მედიასაშუალებებისაგან, წარმოადგენდა სრულიად ცხად და ძლიერ ინსტრუმენტს წინა ხელისუფლების ხელში. ვერ გავიხსენებთ შემთხვევას, როდესაც მისმა ჟურნალისტებმა რაიმე სახით მაინც სოლიდარობა გამოუცხადეს „ნაციონალების" მიერ დევნილ მედიას. ბუნებრივია, რომ ეს ბევრს, მათ შორის, მათ კოლეგებსაც შურისძიების გრძნობას ულვიძებს. მაგრამ, მიუხედავად ყველაფერი ამისა, დევნას, თუ ეს ფაქტია, არავითარი გამართლება არა აქვს. თუ ხელისუფლება რაიმე უარყოფით როლს იქონიებს „რუსთავი-2"-ის შემდგომ ბედზე, იმასაც წინასწარ უნდა შევეგუოთ, რომ მალე ეს გავლენა მთელს მედიაზე გავრცელდება. ამდენად, აქ საქმე სულაც არ შეეხება „რუსთავი-2"-ის დაცვას. მე მას არ ვიცავდი და არც მომავალში ვაპირებ. მისი დღევანდელი მესვეურების განცხადება ხელისუფლების მხრიდან თავისუფალი მედიის დათრგუნვის შესახებ, სულ მცირე, უხერხულია. და მაინც, ამგვარ პროცესებს ძლიერი ინერციის და მძიმე შედეგების გამოწვევა ძალუძთ.

წლებია, ვხედავთ, თუ როგორ ამახინჯებს ეს ტელევიზია საინფორმაციო სივრცეს, როგორ ცდილობს, კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის სასარგებლოდ მართოს საზოგადოებრივი აზრი. თუ დამიჯერებთ, უკვე წლებია, „რუსთავი-2"-ის საინფორმაციო გადაცემებს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ვუყურებ. ვფიქრობ, ესაა ერთადერთი ფორმა, რომლითაც თავისუფალმა საზოგადოებამ შეიძლება გამოხატოს ტელეკომპანიის მიმართ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება. საბედნიეროდ, არსებობს პულტი და შეგვიძლია სხვა არხზე გადავრთოთ და ამით მისი სარეკლამო ბაზარი მინიმუმზე დავიყვანოთ. თუ ჩვენს პროტესტს ასე გამოვხატავთ, უფრო სამართლიანი და ჩვენი სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის ნაკლებად მავნებელი იქნება. თანაც ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში ძნელი წარმოსადგენია აბსოლუტური აზრით დამოუკიდებელი და ობიექტური მედია. ეს უკანასკნელი დიდ მედიაბაზარს გულისხმობს და ასეთი ჩვენ, ჩვენი სიმცირის გამო არ გაგვაჩნია. დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის რაღაც ხარისხს უპირატესად კონკურენცია უზრუნველყოფს. მსმენელისა, თუ აღმქმელის კულტურაც სწორედ ამგვარ ვითარებაში იხვეწება და არა „სრულიად ობიექტური" მედიის გარემოცვაში. „რუსთავი-2"-ის შენარჩუნება თუნდაც საამისოდ არის საჭირო.

**— თქვენი დაკვირვებით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ „რუსთავი-2"-ის კუთვნილებასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები ქვეყანაში სერიოზული დესტაბილიზაციის საბაბიც და საფუძველიც გახდეს?**

— „ნაციონალები" „ნავის დარწევის" სტრატეგიას ადგანან. თავის მხრივ, ხელისუფლება ცდილობს, თავის მომხრეებში „ნაციონალებთან" დაპირისპირების აზარტი შეინარჩუნოს. ორივეს ჩვენს საშინაო პოლიტიკური ცხოვრება ცივი სამოქალაქო ომის რეჟიმში გადაჰყავს და ირაციონალურ საზოგადოებრივ ვნებებს უხსნიან გზას, რაც ჩვენთვის დრამატული შედეგებისა შეიძლება აღმოჩნდეს.

სამწუხაროდ, არც ერთი და არც მეორე არ ცდილობს, გაიაზროს, თუ რა დამღუპველია ეს ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფოებრიობისათვის. სამწუხაროდ, „ნავის დარწევა" ჩვენი პოლიტიკოსების დიდი ნაწილისათვის დღემდე დარჩა პოლიტიკურ ცვლილებათა უნივერსალურ მოდელად. ჩვენს პოლიტიკოსებს საზოგადოების მართვა რადიკალური განწყობების ფონზე ურჩევნიათ — როდესაც წინა პლანზე ექსტრემისტული განწყობები გამოდის და რაციო დუმს. **„ნაცმოძრაობის" ლიდერებიც, იმის ნაცვლად, რომ გაიაზრონ, თუ რა იყო 2012 წელს მათი მარცხის მიზეზი, სიტუაციის ესკალაციას ცდილობენ.** არაერთხელ თქმულა, რომ დღევანდელი „ნაცმოძრაობა" ამით მხოლოდ იმას თუ ახერხებს, რომ მომგებიან პოლიტიკურ ფონს უქმნის „ოცნებას". რომ არა „ნაციონალების" აქტიურობა, გაცილებით უფრო აშკარა იქნებოდა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომებიც და მისი ბევრი წარმომადგენლის უკეთურობაც. თუნდაც ნეპოტიზმი, პასიურობა, სახელფასო დანამატებისა და პრემიების ისტორია უკვე კარგა ხნის წინათ იქცეოდა პოლიტიკური პროტესტის მიზეზად. თუ „ნაციონალები" ვერ მოძებნიან საკუთარი წარსულის გადახედვისა და განახლების რესურსებს, თავისი ჰიპერაქტიურობით მხოლოდ თუ შეაბრკოლებენ ჩვენს პოლიტიკურ განვითარებას, ხოლო „ნავის დარწევა" მხოლოდ იმას თუ მოიტანს, რომ, ადრე თუ გვიან, მათი მომხრეების ოდენობა რაღაც მნიშვნელზე დავა და გაჩერდება. ასეთი რამ პირველად არ ხდება ჩვენს პოლიტიკურ სამყაროში. მათ მიერ განწყობათა რადიკალიზების მცდელობას დავუმატოთ სახელისუფლო ლოზუნგი — „შუა უნდა გაიკრიფოს" და იოლი წარმოსადგენია, რა სურათს მივიღებთ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. ერთი წუთით გავიხსენოთ, თუ როგორი აგრესია და ექსტრემიზმი ცდილობს სოციალურ ქსელებში გაბატონებას. ხელისუფლებაც და ოპოზიციაც თავისი ე.წ. „ტროლების" მეშვეობით ცდილობენ მის გაღვივებას. თუ ასე გაგრძელდა, „შუას გაკრეფის" პროცესი როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან თავის კულმინაციას არჩევნებისათვის მიაღწევს. შემთხვევითი არ არის, რომ მავანი პოლიტიკოსების პირიდან სამოქალაქო ომის იდეამ გაიჟღერა. ის, რაც ჩვენს ინტერნეტსივრცეში ხდება, უკვე ძალიან ჰგავს სამოქალაქო დაპირისპირებას. ეს კარგად უნდა გავიაზროთ. თოფის სროლა არ არის აუცილებელი საიმისოდ, რომ ქვეყანაში საღი აზრი დადუმდეს.

**— რამდენიმე დღის წინათ „დიპლომატების კლუბმა" მეტად საგულისხმო განცხადება გაავრცელა. განცხადებაში კრიტიკულადაა შეფასებული გაეროში პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა. განცხადებაში ასევე საუბარია იმაზე, რომ „საგარეო საქმეთა სამინისტროში პირველი და მეორე პირის ახალი დანიშვნები პოლიტიკური ინტერესის ეკონომიკურზე გაცვლის ნათელი მესიჯია საქართველოს მეგობარი და პარტნიორი ქვეყნებისათვის". თქვენი აზრით, სავარაუდოდ, რა პოლიტიკური ინტერესის ეკონომიკურ ინტერესში გაცვლაზე შეიძლება იყოს საუბარი?**

— ვერ ვიტყვი, რომ რუსეთისთვის სულ ერთია, რას იტყვის მის შესახებ თუნდაც ჩვენისთანა მცირე ქვეყნის წარმომადგენელი. გავიხსენოთ, რომ საქმე გვაქვს არა ბრიტანულ იმპერიალიზმთან, რომელიც, ასე თუ ისე, რაციონალურ პრინციპებზე იყო აგებული, არამედ - რუსულთან, რომელიც ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ იყო და დღემდეა კრიმინალურ მორალზე დაფუძნებული. კრიმინალური მორალი კი მგრძნობიარეა მსგავსი მოვლენების მიმართ, სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს მათ. გავიხსენოთ, რომ სულ მცირე ხნის წინ რუსეთში საქართველო აშშ-ის შემდეგ ყველაზე დიდ მტრად მიაჩნდეთ. „ლევადა ცენტრის" გამოკითხვების მიხედვით, რუსული მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ მუსლიმები ვართ და ჩვენი მოსახლეობა 30 მილიონს აღწევს. კრემლის მესვეურები საგანგებოდ ბერავდნენ ჩვენს მნიშვნელობას და ეს პროცესი ბოლოს ხანმოკლე და „ძლევამოსილი" ომით დააგვირგვინეს 2008 წელს. იმ სიტუაციაში, როდესაც რუსეთის ლიდერები უკვე აშკარად სვამენ საკითხს გავლენის სფეროების ახალი გადანაწილების შესახებ, რადიკალურმა ანტირუსულმა რიტორიკამ შეიძლება ჩვენთვის გამოუსწორებელი შედეგები მოიტანოს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს დიპლომატიური ძალისხმევის შესუსტებას. პირიქით.

რაც შეეხება პოლიტიკური ინტერესის ეკონომიკურზე გაცვლას, მსგავსი ტენდენცია უკვე დიდი ხანია, იგრძნობა. როგორც ჩანს, ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც დღემდე რჩება „ქართული ოცნების" რეალურ ლიდერად, სახელმწიფოს მისთვის ნაცნობ ბიზნესკატეგორიებში განიხილავს, ეს ბუნებრივიცაა მისი წარსულიდან და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე. ჩვენს დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობაში ეს გარკვეულწილად გამართლებულიცაა, თუმცა კი შეიცავს საფრთხეს, რომ ეკონომიკური ინტერესები პოლიტიკურს გადაფარავენ. ვფიქრობ, სწორედ ამ საფრთხის შესახებ არის საუბარი „დიპლომატთა კლუბის" განცხადებაში. ეკონომიკა ძალზე მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც მხოლოდ ერთი მხარეა სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა.

**— გასულ კვირას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებს ხმაურისა და აურზაურის გარეშე არ ჩაუვლია. უამრავი ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ" ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევის საკითხში ისევე იმოქმედა, როგორც თავის დროზე — „ნაცმოძრაობამ", მმართველმა კოალიციამ იგივე შეცდომები არ გაიმეოროს!**

— როდესაც ხელისუფლება და ოპოზიცია ასე გულმოდგინედ ცდილობენ კულტურის, სპორტის, განათლების ან ჯანდაცვის პოლიტიზებას, ეს მხოლოდ მათი მსოფლმხედველობის კონცეპტუალურ სიღატაკეზე მიუთითებს. ეს ის სფეროებია, რომლებიც ავტონომიურად უნდა ვითარდებოდეს და მინიმალურად უნდა იყოს პოლიტიკურ კონიუნქტურაზე დამოკიდებული. მათი პოლიტიზება იმის ნიშანია, რომ ძალაუფლების ინტერესები ბევრ სხვა სასიცოცხლო ინტერესს ფარავს.

სამწუხაროა, თუ აწინდელი ხელისუფლება წინას შეცდომებს იმეორებს.

**კობა ბენდელიანი**

## ალიან-ჩალიანი

# რომელი კომპანია ააშენებს ავტომაგისტრალს?



**განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო რიკოთის უღელტეხილზე ავტომაგისტრალის მშენებლობისთვის ინვესტიციების მოზიდვის კუთხით 2 კომპანიასთან შეხვედრებს გამართავს, — ამის შესახებ ჟურნალისტებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა განუცხადა.**

**ნოდარ ჯავახიშვილმა „აბრეშუმის გზის ფორუმის" მნიშვნელობაზე ისაუბრა. „გარდა იმისა, რომ ამ ფორუმით ჩვენ ყურადღების ცენტრში მოვექეცით, საქართველო უნდა შეეცადოს და დავაფიქსიროთ, რომ ჩვენ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი, მონაკვეთი ვართ ამ ისტორიული დიდი აბრეშუმის გზისა. უნდა მოვახერხოთ, რომ მაქსიმალური სიკეთე მივიღოთ", — განაცხადა ჯავახიშვილმა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, გაიმართება შეხვედრა ორ კომპანიასთან ამ თვალსაზრისით და ორივეგან ჩინური მხარე მონაწილეობს.**

**„დონორებმა როდესაც თავი შეიკავეს ამ ეტაპზე რიკოთის უღელტეხილზე ავტომაგისტრალის დაფინანსებაზე, მთავარი არგუმენტი იყო, ავტომობილების ნაკლები რაოდენობა. ამიტომ თუ ჩინელები აიღებენ ამ ინვესტიციას, ჩვენ გვექნება უფრო მეტი გარანტია, რომ ჩინური ტვირთები ინტენსიურად გადაადგილდებიან ჩვენს ავტობანზე", — განაცხადა ჯავახიშვილმა და აღნიშნა, რომ შეხვედრები გაიმართება სხვა მიმართულებითაც.**

**„ეს იქნება ინფრასტრუქტურული პროექტები ზოგადად, თუმცა ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი არის რიკოთი და თუ შევძელით დაინტერესება ინვესტორების თბილისის შემოვლითი გზა", — განაცხადა ჯავახიშვილმა.**

**ინტერპრესი**



# უნიადაგო დემოკრატიის მორიგი ყვავილობა: ღვარძლისა და ფშუტის კოაბიტაცია

**სამი წელიწადი შესრულდა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებიდან. როგორც ჩანს, დაპირებული „გამაოგნებელი დემოკრატიის“ საოცნებო ნაყოფს ვერც ამ შემოდგომაზე ვიგემებთ. სამაგიეროდ მის ყვავილობას კი ნამდვილად მოვესწარით! დემოკრატიის ნაყოფს მერმის ამ დროს, საარჩევნოდ ისევ გვპირდებიან და ვაგლახ, ყვავილობაზევე ეტყობა, რა ხენეშიც იქნება ეს ნაყოფი!**

**მაშ როგორია ქართული დემოკრატიის დღევანდელი ყვავილობა? რასაკვირველია, თვალისმომჭრელად ორფეროვანი: აგერ „ოცნება“ — „ფშუტად“ ყვავილობს და კარგად ფესვგადგმული ნაცრობის, ამ მეწამული ღვარძლის ფონზე, ლურჯადაც გადაპენტილა; ნაცური ეკლისა და ქოცური ფშუტის თანააბიბინება, ანუ უცხოურად — კოაბიტაცია გარეთ მტერს უბრმავებს თვალს, შიგნით — მოყვარეს! სწორედ ესაა ჩვენებური დემოკრატიის ამ შემოდგომას ყვავილობის არცთუ მოკრძალებული ხიბლი!**

**...ქოცთა ფშუტაობზე, ე.ი. ჩვენებურ ფშუტმეიკერ ფშუტმახერობაზე უწინაც ბევრი დავწერე; დღევანდელ მკითხველს ფშუტი მართლაც მთის ყვავილი რომ არ ეგონოს და გამგებმა ეგებ გაიგოს, ერთხელ კიდევ ვრცლად უნდა გავიმეორო:**

**„ფშუტი“ ქართულ-ხალხური სიბრძნისაგან მომდინარე სახელია. მისი ეტიმოლოგია ერთ იგავ-ზღაპართანაა დაკავშირებული, რომელსაც თავისუფალი ინტერპრეტაციით, ე.ი. როგორც გამახსენდა, ახლა მოკლედ გიამბობთ.**

## ფშუტმახერის ამბავი

**ერთმა წინდახედულმა გლეხმა, რომელსაც პროფესიული განათლების სიკეთე კარგად ესმოდა, ვაჟი ქალაქს გააგზავნა მჭედლის ხელობის დასასწავლად. გვარიანი ხარჯიც გასწია და სულმოუთქმელად ელოდა, როდის დაუბრუნდებოდა განსწავლული „მამის იმედი“, გახსნიდა ახალ სამჭედლოს და ტექნოლოგიური წინსვლა გლეხის ოჯახსაც სულს მოათქმევინებდა.**

გამოხდა ხანი და ვაჟიც დიდი ამბით დაბრუნდა. გლეხმა წინასწარ დაიჭირა თადარიგი. წვრილად გამოკითხა სწორედ იმ გამოცდილ ქალაქელ მჭედელს, ვისაც ვაჟი სასწავლებლად მიაბარა და მისი რჩევით მოაწყო სამჭედლო — ქურა, საბერველი, გრდემლი, ურო თუ სხვა საჭირო ხელსაწყო-იარაღები, ასევე სამუშაო ნედლეულად ბლომად ლითონიც შეუძინა ვაჟს. ჰოდა, დაჰკრა საათმაც და დადგა ის ჟამიც, რომ ვაჟს, თავისი პროფესიული, როგორც დღეს ვამბობთ — „უნარჩვევების“ დემონსტრირება მოეხდინა და მოხუცი მამის გული გაეხარებინა.

ვაგლახ! ფუჭი აღმოჩნდა მამის იმედი და გაწეული ხარჯი წყალში გადაყრილი, რადგანაც ახალგახსნილ სამჭედლოში პროფესიულ უნარებში „ტესტირება“ ასე სავალალოდ წარიმართა:

— აბა, შვილო, სახნისს ხომ გამოჭედავ? — იმედინად ჰკითხა ვაჟს მამამ.

— განა საკითხავია? ისეთ სახნისს გამოვჭედ, რომ სახნისის უნახავს გაგხდი, — თამამად მიუგო ვაჟმაც და საქმეს შეუდგა. ქურაში დაარბილა ლითონი (სულ მოხუც მამას კი აბერვინა საბერველი), მერე დარბილებულ ლითონს გრდემლზეც დაუწყო ვითომ ჭედვა და წრთობა. ერთი შეხედვით მჭედელივით კი ირჯებოდა, მაგრამ ნაწრთობს ბოლოს გასაციებლად წყალი რომ დაასხა, მის ნაცოდვილარს სახნისთან იოტისოდენა მსგავსებაც კი არ ეტყობოდა...

— ვაჰ, შვილო, ვერ გისწავლია სახნისის ჭედვა — უსაყვედურა იმედგაცრუებულმა მამამ.

— ეგ არაფერი, არა უშავს, სამაგიეროდ საუკეთესო თოხს გამოვჭედავ, სახნისზე მეტი გასავალი ახლა თოხსა აქვსო — დაამშვიდა მამა ვაჟმა და უკვე გვარიანად დაპატარავებულ ლითონის ნაჭერს თავიდან დაუწყო წვალება შედარებით მომცრო, მაგრამ მაინც სასარგებლო ფორმის მისაცემად, თუმცა იმასაც წყალი რომ დაასხა გასაციებლად, მის ნაცოდვილარს არც თოხთან არა ჰქონდა არავითარი მსგავსება...

ასეთი უშედეგო საწარმოო ციკლი რამდენჯერმე გამეორდა —არც უფრო მომცრო ნაკეთობათა: ჯერ ნამგლის, მერე ნალისა და ბოლოს არც სადგისის გამოჭედვა არაფრით გამოუვიდა ვაჟს. ყოველ ჯერზე ლითონიცა და მამის იმედიც თვალსა და ხელს შუა ილეოდა, ამ მწვალებლობის შემხედვარე მამას გული მოუკვდა. სადგისის გამოჭედვის მცდელობაც რომ ჩაიფუშა, გაჯავრდა კიდეც, მაგრამ შვილმა დასამშვიდებლად კვლავაც მიუგო:

— არა უშავს, აი ნახე, როგორი ხელთუქმნელი ნემსი გამოვჭედოო, არ მინდოდა თქმა, მაგრამ გამოგიტყდები, მარტო ნემსის ჭედვაში გავიწაფე, მეტის სასწავლად დრო არ მეყოო, — და ისევ თავიდან შეუდგა სახნისის გამოსაჭედად დაწყებულ და ნემსამდე დაყვანილ საქმეს. ეს ნემსიც ვითომ ჭედა, ჭედა და სულ ბოლოს წყალი რომ დაასხა გასაციებლად, გახურებულმა და ნაწვალებმა რკინამ „ფშუტო“ ერთი კი ხმამაღლა დაიძახა, სულაც დაილია და გაქრა!

— აგერა მამი, შეხე, რა საოცარი „ფშუტი“ გავაკეთე, განა მსგავსი სადმე გინახავს? ჩემი ხელობა მჭედლობა კი არა, „ფშუტის“ გაკეთება ყოფილა და ვისაც გინდა, ამ საქმეში გამაჯიბრეო! — მაინც არ გაიტეხა იხტიბარი უხეირო ვაჟმა ...

...აი, სწორედ ასე სამასხარაოდ და სამარცხვინოდ, „ფშუტაობად“ აღწერს პროფესიულ კრახს და დილეტანტურ თავხედობას ქართულ-ხალხური სიბრძნე.

სხვათა შორის, იმ უქნარათათვის, რომელთა ხელიდან ოდენ საქმის ჩაფუშვა და „ფშუტი“ თუ გამოდის, ბევრი სათანადო სახელიც მოგვეპოვება, მაგ. „ფუქსავატი“... თუმცა, დღეს „ფუქსავატს“ „ფშუტმეიკერი“, უფრო კი „ფშუტმახერი“ სჯობს, რადგანაც „ჭეშმარიტად ქართულ“ თანამედროვე და საკმაოდ გასავლიან „პროფესიასა და მოწოდებას“ ასეთი ნეოლოგიზმი უკეთ გამოხატავს.

თავის დროზე, ერთი საუკუნის წინათ, დიდი გერმანელი მეცნიერი, სოციოლოგიის მამა მაქს ვებერი სახელგანთქმულ ნაშრომებს წერდა განსაკუთრებით გამორჩეულ პროფესიულ უნარებზე. მის კალამს ეკუთვნის: „პოლიტიკა, როგორც პროფესია და მოწოდება“, ასევე: „მეცნიერება, როგორც პროფესია და მოწოდება“.

აი, ვებერი თანამედროვე ქართველი რომ ყოფილიყო, უთუოდ დაწერდა შთამაგონებელ ნაშრომს: „ფშუტმახერობა“, როგორც გამორჩეულად ქართული პროფესია და მოწოდება“. დაწერდა, რადგან არც ერთ ქვეყანაში და არც ერთ დროში მცონარათა თავხედი დილეტანტიზმი ისე მოდაში არ ყოფილა, როგორც ამჟამად ჩვენშია...

ქოცების ხელიდან ნაყოფიერი საქმე არა და არ გამოდის, ფშუტი კი იცოცხლეთ, უხვად! რომელი ერთი გაგახსენოთ?! ყბადაღებული „სამართლიანობის აღდგენა“, რისი მაგალითიც ლამის ვაშლის გაფცქვნისთვის მსჯავრდებული ავაზაკია თუ ყოფილი მერის საკონსტიტუციო სარჩელთან დაკავშირებული ოინბაზობა? სამართლიანობის ამგვარ აღდგენასავით „წარმატებით“ შესრულდა სხვა საარჩევნო დანაპირებიც: კომუნალური გადასახადების გაიაფების, პენსიების მატების, დასაქმების, ეკონომიკური აღმავლობის, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის, თუ რომელიც გნებავთ, სხვა საოცნებო ზღაპრის ახდენის შესახებ....

მწარედ მოტყუებულებმა თავი იმითღა უნდა ვინუგეშოთ, რომ კიდევ კარგი, როგორც იტყვიან „ ოცნებას ჯერ კაცი არ მოუკლავს“, „ოცნებისაგან“ მხოლოდ ფშუტი აგვიყვავდა და იგივე ღვარძლი, რასაც ნაცებისგან ვართ ნაჩვევი, მისგან არ აღმოცენებულა;

თუმცა რა ბედენაა? ჩვენი დემოკრატიის ამჟამინდელი ყვავილობა ხომ მაინც ისევ ღვარძლნარევია? წითელი 5-იანის აჩრდილი ხომ მეწამულ ეკლად მოსდებია ფშუტიან არემარეს და „რუსთავი-2“-ის ეთერიდან ეს აჩრდილი მთელს საქართველოში დღედაღამ დაძრწის! იეთიმ გურჯისა არ იყოს: „სადაც ვარდი დამითესავს, იქ ეკალი ამოსულაო“ რომ ჩიოდა, ნაცური ღვარძლი და მისი სწორუპოვარი ხატება „რუსთავი-2“ ჩვენც მოუშორებელ და უხვად აღმოცენებულ ჭირად გვექცა!

უნდა აღინიშნოს, რომ **„რ-2“-ის გარშემო აგორებული მთელი ეს გნიასი და ყაყანი, სწორედაც რომ, სახეა ჩვენი დემოკრატიის ყვავილობისა! სიტყვის თავისუფლება „რ-2“-ის, ე.ი. ღვარძლიანი დეზინფორმაციული პროპაგანდის ამ მედია-მანქანისათვის იგივე შინაარსისაა, რაც დემოკრატია დემოსის გარეშე. დემოსის გარეშე დემოკრატიაში კი ფშუტიანი ქოცები ფაქტობრივად არიან „რ-2“-ის ზვავისებური ღვარძლის წინაშე!**

## „რ-2“, ე.ი „ERROR!“

**„რუსთავი-2“ ოდენ ტელევიზია არ არის. იგი „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ სააკაშვილის კორპორაციული ტოტალიტარიზმის და დღეს ნაცური რევანშიზმის ოდენ პროპაგანდისტულ ტაბლოიდს არ წარმოადგენს. „რ-2“ ქართულ სინამდვილეში ფენომენალური სოციალური მოვლენაა.**

მართლაც გასაოცარია, რომ ამ მოვლენას სახელად იგივე ჰქვია, რასაც ტერმინი „ERROR!“ გამოხატავს. ვისაც კომპიუტერთან საქმე ჰქონია, მან, ალბათ, იცის — **როდესაც ეკრანზე ეს გამაფრთხილებელი წარწერა „ERROR“: (ქართულად: „პროგრამული შეცდომა!“) გამოდის, პროგრამა, ან სულაც მთლიანად სისტემა, „გაიჭედა“ და უნდა გადაიტვირთოს!**

„რ-2“-ის ფენომენი კომპიუტერული „ERROR!“ -ისგან მაინც განსხვავებულია: იგი „გაჭედილი“, მკვდარი სოციალური სისტემის ჯოჯოხეთურ ყოფიერებას გამოხატავს. როცა კომპიუტერი „გაიჭედება“, ის გაჩერებულია, მისი მოქმედება შეწყვეტილია. სოციალური „ERROR!“-ის შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ ფენომენთან, როცა თითქოსდა მკვდარი სისტემა ცხოველმოქმედებას მაინც განაგრძობს. ამას ხრწნის ბიოლოგიურ პროცესს თუ შევადარებთ. „რ-2“-ის ცხოველმოქმედება განსაკუთრებულად ინტენსიურია და მისი ჰიპერაქტიურობა — ღირშესანიშნავი. **„ერორი“ „გაჭედილი“ სისტემის ღვარძლიანი, შხამისმფრქვეველი ჰიპერაქტიურობაა. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ერთი მხარეა. მეორე მხრივ, „ერორი“ ფსევდოდემოკრატიის ის სისტემური კოლაფსია, როცა დეზინფორმაციაც ინფორმაციად და, შესაბამისად, დეზინფორმირების თავისუფლება „სიტყვის თავისუფლებად“ საღდება.**

„ერორს“ ორი საწყისი აქვს: მისი მამა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიაა, ხოლო დედა-მშობელი, რომლის წიაღშიც ჩაისახა. მომწიფდა, იშვა და აღზევდა „ერორი“ — პოსტსაბჭოური სოციალური დესტრუქციაა. **აქ ნიშანდობლივია, რომ ღვარძლიანი ნაცების, რომელთა ოპოზიციონერობისას მთავარი იარაღი ერორი, ე.ი. სისტემის „გაჭდვაა“, ხოლო ძალაუფლების მოპოვების შემდგომ კი ერორი ტ-ერორად გარდაისახება, ნამდვილი პოლიტიკური იდეოლოგია დესტრუქციონიზმი, ანუ „ერორიზმია“...**

## უნიადაგობა

**...სახარებისეული იგავი ნაყოფის ნიადაგზე დამოკიდებულების შესახებ მკითხველს უთუოდ კარგად მოეხსენება. უნივერსალური ჭეშმარიტებაა: თუ ნიადაგი უვარგისია, რასაკვირველია, საუკეთესო თესლიც რომ დათესო და რაც არ უნდა მუშაკობა გასწიო, სასურველ მოსავალს მაინც ვერ მიიღებ....**

ქართული დემოკრატიის ბედი ნიადაგის შესახებ ამ სახარებისეულ იგავს საკვირველად ემსგავსება: მერამდენედ ხდება, რომ დემოკრატიული არჩევნები ქართველ ხალხს კვლავაც პირში ჩალაგამოვლებულს ტოვებს და დემოკრატიის დაპირებული ნაყოფი — საზოგადოებრივი უსაფრთხოებაც და მით უმეტეს, კეთილდღეობაც ისევ ზღაპრული ოცნებასავით მიუწვდომელია!

**იქნებ ეს სულაც იმის ბრალია, რომ ჩვენი დემოკრატია გამუდმებით დაუმუშავებელ, უვარგის ნიადაგზე და ზოგჯერ სულაც უნიადაგოდ ითესება, ეგებ სწორედ ამიტომაც არის მისი ნაყოფი ხენეში?!**

დემოკრატიისას არჩევნები ოდენ თესვის პროცესს თუ შეედრება; ხოლო ნიადაგის ხვნის, მისი გაპოხიერებისა და მორწყვის, აგრეთვე მავნე სარეველების მოსპობის გარეშე რომ თესლი ნაყოფს არ გამოიღებს, განა საკვირველია?!

**იქნებ ქართული დემოკრატიის მთავარი პრობლემა სწორედაც ცუდი ნიადაგი და სულაც უნიადაგობაა?**

ხალხის მმართველობის მისაღებად საყოველთაო და თანასწორ არჩევნებს ხომ მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, თუკი ეს დალოცვილი დემოკრატია საზოგადოებრივი თვითორგანიზებისა და თვითმმართველობისგან ისაზრდოებს და მხოლოდ ასეთი თუ იქნება დემოკრატიის ნაყოფიერი ნიადაგი! სადაც თვითორგანიზება და თვითმმართველობა არ არის, იქ დემოკრატიის ნიადაგი მწირი და უნაყოფოა! რასაკვირველია, **ხალხის მმართველობა ფუჭ ოცნებადვე დარჩება, თუკი ამ ხალხის ყოველი ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფი საკუთარი ინტერესების შესაბამისად თვითორგანიზებას ვერ ახერხებს, თავი „თავადვე არ ეყუდვნის“ და საკუთარ საქმეებს თავადვე არ განაგებს!**

განა ჩვენში არსებობს ასეთი ნაყოფიერი ნიადაგი?! ბევრი გინახავთ თვითორგანიზებისა და თვითმმართველობის პრინციპებზე შექმნილი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელსაც საკუთარი საქმე, გინდ საჯარო, გინდ კერძო, თავადვე წარმატებით გაუმართავს?! დიდი გამჭრიახობა არაა საჭირო, რომ სწორედ საპირისპირო დასკვნა გამოიტანოს მიუკერძოებელმა დამკვირვებელმა.

განა პირიქით არაა საქმე?! თუკი საერთოდ მოხერხდა და რაიმე ინტერესით, სულ ერთია, ეს ინტერესი კერძო იქნება თუ საჯარო, საზოგადოებრივი ჯგუფი შედგა, შეიკრიბა და თავისი საქმე წამოიწყო, იგი საქმის გასამართად იმთავითვე გავლენიანი და შემძლე გარეშე პატრონის ძიებაშია. თუ ბედმა გაუღიმა და იპოვა ასეთი პატრონი, ხომ კარგი და თუ ვერა, რაც უმრავლეს შემთხვევაში, კიდეც ხდება, რადგან პატრონი ძალზე იშვიათია, ხოლო „კაი-პატრონის“ მაძებარი კი უთვალავი, საქმეც ჩაიფუშება და არა გამოდის რა. ხოლო იქ, სადაც საქმისათვის პატრონია საძებარი და საკუთარ საქმეს მილიონში ერთი თუ ვინმე ეპატრონება, დემოკრატია, ცხადია, ვერ იხეირებს. ასეთი, ანუ „უპატრონოთა დემოკრატია“, სწორედაც რომ, უმაქნისთა ცარიელი ყაყანი და გნიასია!

ისიც კარგად გვინახავს და ვიცით, რომ ამ ყაყანსა და გნიასში ბოლოს მაინც გამოჩნდება ხოლმე პატრონი თუ ბელადი; და მაშინ კი უნიადაგო დემოკრატიაც ხენეშ ყვავილსა და ნაყოფს გამოიღებს: ფშუტს ან ღვარძლს. ღვარძლს ან ფშუტს. ესეც პატრონს და მის „მარიფათს“ გააჩნია.

**დავით ზარდიაშვილი**



# გამოიძახებენ სააკაშვილს ჰააგის სასამართლოში?

**აგვისტოს** ომის გამოძიების შესახებ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქართველოში კი „შუქდება“ და განიხილება, მაგრამ არც იმდენად, როგორც ეს მოვლენა იმსახურებს. ბევრი ვერ აცნობიერებს, რამდენად მნიშვნელოვანი პროცესი დაიწყო და რა გავლენა შეიძლება იქონიოს მან როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკასა და ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაზე.

უწინარესად, გავიხსენოთ, რას წარმოადგენს ჰოლანდიურ ჰააგაში მდებარე სისხლის სამართლის ტრიბუნალი, რომელიც 1998 წელს შეიქმნა ე.წ. „რომის სტატუტის“ შესაბამისად: მისი მიზანია, გამოიძიოს კონკრეტული პირების (და არა სახელმწიფოების!) დანაშაულები საერთაშორისო მშვიდობის, ადამიანურობის და კაცობრიობის წინააღმდეგ. მათ შორის გენოციდი და ეთნიკური წმენდა, როგორც გენოციდის ერთ-ერთი ნაირსახეობა.

განსასჯელი პირი შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფოს მეთაური, რომელმაც გასცა ესა თუ ის ბრძანება, ისე გენერალი ან უბრალო სერჟანტი თუ ჯარისკაცი, ვინც, საბრძოლო მოქმედებების დროს, ჩაიდინა ესა თუ ის დანაშაული — თავს დაესხა სამშვიდობო ძალებს, მოკლა თუნდაც ერთი მშვიდობიანი მოსახლე, დაწვა სახლი და ა.შ.

„ჩვენ გვყავს 99 დაღუპული, 94 იდენტიფიცირებულია, მათი ცხედრები გადაეცა ნათესავებს. დაღუპულთა შორის არის პალესტინის მოქალაქე, ჩვენ ველოდებით მისი ნათესავების ჩამოსვლას“, – განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ახმეტ დავითოღლუმ. ადრე იტყობინებოდნენ, რომ გასულ შაბათს ორი აფეთქების შედეგად დაიღუპა 97 კაცი. ანკარის სამედიცინო პალატამ განაცხადა 106 მსხვერპლის შესახებ.

* * *

**ნორვეგია რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსულ სირიელ ლტოლვილებს უკან რუსეთში გაგზავნის**

გამოირკვა, რომ სირიელების დიდი ოდენობა, რომლებმაც უკანასკნელ თვეებში ითხოვეს ნორვეგიაში თავშესაფარი, ცხოვრობდნენ რუსეთში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (12 წლამდე) – ისინი ჩავიდნენ რუსეთის ფედერაციაში რამდენიმე წლის წინათ, სირიაში ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე. ამრიგად, მათ არ სჭირდებათ დაცვა ომისგან, სიღარიბისა და შიმშილისაგან – გადაწყვიტეს ოსლოში.

* * *

**ირანმა რაკეტების წარმოების მიწისქვეშა ქარხნები აჩვენა**

ფოტოები გადაეცა ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსის სააგენტოს. კადრები გადაღებულია ერთ-ერთ ასეთ ცენტრში, რომელიც 500 მეტრის სიღრმეზეა მიწისქვეშ. ცენტრის ადგილსამყოფელს, აგრეთვე მათ საერთო რაოდენობას არ აზუსტებენ.

* * *

**აშშ და რუსეთის ფედერაცია ახლოს არიან გარიგებასთან სირიის ცის „გაყოფის“ შესახებ**

გარიგებამ უნდა უზრუნველყოს ორი ქვეყნის იმ პილოტების ფრენის უზრუნველყოფა, რომლებიც ახორციელებენ ექსტრემისტების პოზიციების დაბომბვას. AFP -ის წყარომ პენტაგონში განაცხადა, რომ დოკუმენტს შეიძლება უახლოეს დღეებში მოეწეროს ხელი.

# სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

# აუქციონს

## მის ბალანსზე რიცხული 7 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყიდვის მიზნით

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**
საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს;
**ინფორმაცია გასაყიდი ქონების შესახებ:**
თვითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალება აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება ცალ-ცალკე ლოტად;
**მესაკუთრე**: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“;
**ქონების ადგილმდებარეობა:** ავტოსატრანსპორტო საშუალებები განთავსებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში;

**საწყისი სააუქციონო ფასი:**
თვითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის (ლოტისთვის) წარმოდგენილია ცხრილის სახით არსებულ მონაცემებში (იხ. დანართი);
**აუქციონში მონაწილეობის „ბე“:** თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის (ლოტისთვის) წარმოდგენილია ცხრილის სახით არსებულ მონაცემებში (იხ. დანართი);
**აუქციონის „ბიჯი“-ს ოდენობა:** თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის (ლოტისთვის) წარმოდგენილია ცხრილის სახით არსებულ მონაცემებში (იხ. დანართი);
**აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი:** მონაწილის ბილეთი შეძენილ უნდა იქნეს თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე, ბილეთის ფასი - **50** (ორმოცდაათი) ლარი;
**თანხის გადახდის ვადები:** მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**
ა) შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აუქციონში მონაწილეზე, განსაკარგი ქონების დასახელებას და საწყის საფასურს;
ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდა უნდა მოხდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საანგარიშსწორებო ანგარიშზე (ს.ს ,,ლიბერთი ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის #GE86LB1141444853530000 საიდენტიფიკაციო კოდი 204995176) ან საბანკო გარანტია;
გ) მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტი) მონაცემები (ქსეროასლები) (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, (რწმუნებულება) თუ იგი მოქმედებს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს (წესდება, სასამართლოს დადგენილება დაფუძნების შესახებ, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმი ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი (წესდების შესაბამისად) აუქციონში მონაწილეობის შესახებ).

**ინფორმაცია განაცხადების მიღების შესახებ:**
აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 26 ოქტომბერს 15.00 საათზე, აუქციონის ჩატარების მისამართი: ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, IV სართული, სააქტო დარბაზი.
აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს 2015 წლის 16 ოქტომბრიდან 2015 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით 12.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, III სართული, ოთახი #307, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია.

**დამატებითი ინფორმაცია:**
სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში (ჟურნალში) განაცხადის რეგისტრაციისა და მონაწილის ბილეთის შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 50 ლარს, რომელიც ასევე უნდა იქნეს გადახდილი სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ზემოაღნიშნულ ანგარიშზე.

აუქციონში გამარჯვებულის (მყიდველის) მიერ გადახდილი „ბეს“ თანხა ჩაითვლება ქონების საბოლოო გასაყიდი ფასის გადახდისას. სხვა მონაწილეებს, აუქციონში მონაწილეობის, აუქციონზე ვერ გამარჯვების შემთხვევაში გადახდილი „ბეს“ თანხა უბრუნდებათ უკან.

მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად წერილობით უარი განაცხადოს აუქციონში მონაწილეობაზე, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში – 2015 წლის 16 ოქტომბრიდან 2015 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით, 15.00 სთ-მდე. სხვა შემთხვევაში – აუქციონზე გამოუცხადებლობა, ან აუქციონში მონაწილეობის არ მიღება – გადახდილი „ბეს“ თანხა უკან არ უბრუნდება.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ობიექტის მაქსიმალური გასაყიდი ფასის (არანაკლებ საწყისი სააუქციონო ღირებულებას დამატებული ერთი ბიჯის ოდენობა) გადახდა.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია უზრუნველყოს შეძენილი ქონების მის სახელზე რეგისტრაციასთან (გადაფორმებასთან) დაკავშირებული ყველა ხარჯის გაწევა ს.ს.ი.პ. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეობის სააგენტო“-ში.

აუქციონის ორგანიზება ხორციელდება ს.ს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 07.11.2011წ #291 ბრძანებით დამტკიცებული „სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების გაყიდვის, აგრეთვე დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის, წესის“ შესაბამისად.

**აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge**

**სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“**

**საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი**

**ტელეფონი: ქალაქის –2-510-281 მობილურის 577 240-233**

სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ბალანსზე რიცხული
ავტომობილების ჩამონათვალი

| № | უნიკალური კოდი | აქტივის დასახელება | სახელმწიფო ნომერი | ადგილმდებარეობა | საწყისი სააუქციონო ფასი (ლარი) | ბიჯის ოდენობა | "ბე"-ს ოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | 3 | 4 | 5 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | 003702+ | ა/მ ვაზ-2107 | ADE-079 | ქ. თბილისი, ნაკადულის #2ა | 600 | 15 | 60 | მანქანა საჭიროებს კაპ. რემონტს: ძრავის, სავალი ნაწილების. გამოსაცვლელია საბურავები და ჩასატარებელია სათუნუქე სამუშაოები |
| 2 | 003730+ | ა/მ გაზ-3110 | GIC-351 | ქ. თბილისი, ნაკადულის #2ა | 1100 | 25 | 110 | მანქანა საჭიროებს კაპ. რემონტს: ძრავის, სავალი ნაწილების. გამოსაცვლელია საბურავები და ჩასატარებელია სათუნუქე სამუშაოები |
| 3 | 003731 | ა/მ გაზ-31029 | AMA-751 | ქ. თბილისი, ნაკადულის #2ა | 1100 | 25 | 110 | მანქანა საჭიროებს კაპ. რემონტს: ძრავის, სავალი ნაწილების. გამოსაცვლელია საბურავები და ჩასატარებელია სათუნუქე სამუშაოები |
| 4 | 003732+ | ა/მ გაზ-31110 | VVA-909 | ქ. თბილისი, ნაკადულის #2ა | 1800 | 40 | 180 | მანქანა საჭიროებს ძრავის სახურავის რემონტს |
| 5 | 003734+ | ა/მ გაზ-3110 | ADO-056 | ქ. თბილისი, ნაკადულის #2ა | 1100 | 25 | 110 | მანქანა საჭიროებს კაპ. რემონტს: ძრავის, სავალი ნაწილების. გამოსაცვლელია საბურავები და ჩასატარებელია სათუნუქე სამუშაოები |
| 6 | 008415+ | ა/მ გაზ-21083 | ACR-866 | ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ#2 | 1100 | 25 | 110 | მანქანა საჭიროებს ძრავის, სავალი ნაწილების და გადაცემათა კოლოფის რემონტს |
| 7 | 008364+ | ა/მ გაზ 3110 | DAZ-392 | ქ. ზუგდიდი, აჭარა-გურია-სამეგრელოს რეგ. ს/ცენტრი | 1100 | 25 | 110 | მანქანა საჭიროებს კაპ. რემონტს: ძრავის, სავალი ნაწილების. გამოსაცვლელია საბურავები და ჩასატარებელია სათუნუქე სამუშაოები |



# სიმართლის მცოდნენი ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ!

**ღამის ორი საათია, თენდება 29 ივლისი და მე, ტელეგადაცემისგან შეშფოთებული და აღშფოთებული, ვიწყებ ამ კორესპონდენციის წერას. გადაცემა იყო „რუსთავი-2"-ის არხზე, თომა ჩაგელიშვლის ავტორობით, ჩვენი პირველი პრეზიდენტის ბატონი ზვიადის საქართველოდან გაძევების თაობაზე.**

**გადაცემაში მრავალი რესპონდენტი მონაწილეობდა.**

გადაცემის ირგვლივ ზოგადი შთაბეჭდილება ასეთია: ეს არის მცდელობა, ავტორმა მოვლენები წარმოადგინოს რაც შეიძლება რბილად, შემრიგებლურად, ყოველგვარი სიმართლისა და პირდაპირობის მიჩქმალვით, დამნაშავეთათვის მიტევებით და, ამგვარად, სიმართლის დაფარვით შექმნას მსმენელის ილუზიური შთაბეჭდილება.

სინამდვილეში კი სულ სხვაგვარად იყო საქმე. მე, ელენე აბაშიძე, ბატონი ზვიადის მიტინგებზე, მისი ყოველი გამოსვლის დროს ვიდექი მისგან მეტრნახევარში. ჩასაფრებული ვიყავი, ველოდებოდი, აბა რა შეცდომას დაუშვებდა, რა შეეშლებოდა. მაგრამ დღითი დღე ვრწმუნდებოდი, რომ საქართველოს ჰყავდა დიდი პატრიოტი, მაღალი სულიერებისა და ინტელექტის მქონე პრეზიდენტი. გამაოცა იმან, თუ რა თავმდაბალი და თავდადებული იყო ის ერთგული ადამიანებისთვის.

ბატონი ზვიადი იმხანად მუშაობდა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის კვლევით ინსტიტუტში ქალბატონ ლია ანდღულაძესთან ერთად. ერთხელ, როცა ლიას ქალიშვილი ავად გახდა, ზვიადმა მოიცალა და რომელიღაც სოფლიდან მოუტანა წამალი, სახლში მოართვა. იქ მეც გახლდით, თვით მე გავუღე კარი და სახლში შევუძეხი. ამ აქტმა, მისმა გულისხმიერებამ დიდად გამაოცა, ე. ი. ასეთმა ყურადღებამ, ისიც მამაკაცისაგან! იქიდან დაიწყო ჩვენი ნაცნობობა.

ერთი ფაქტი მინდა მოვიყვანო დღევანდელ პარლამენტარებთან შესადარებლად. ის უკვე პრეზიდენტი იყო, როცა საჭირო გახდა საქართველოს ბიუჯეტის განაწილება სხვადასხვა ღონისძიების ჩასატარებლად. მოათავეს განაწილება და აღმოჩნდა, რომ გამორჩენოდათ თვით პრეზიდენტის, ე. ი. ზვიად გამსახურდიას ხელფასის მითითება. მობოდიშებით ჰკითხეს, რა ჩაეწერათ, რა თანხა მიეთითებინათ მის ხელფასად. ის დაფიქრდა და თქვა — „მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს რა ხელფასიც აქვს, იმას მიუმატეთ თუმანი და ის იქნება ჩემი ხელფასიო". შეადარეთ ეს დღევანდელი პარლამენტარების მადას, პრემიებზე დახარჯულ 231 მილიონს (ერთხელ 150 და მეორეჯერ 180 მილიონის ჯამს) და მივიღებთ პასუხს, თუ ვინ როგორი პატრიოტი იყო და არის.

სამწუხაროა, რომ ასეთ, თავის ქვეყანაზე სულით ხორცამდე შეყვარებულ პატრიოტს, სამშობლოსთვის შეწირულ კაცს, ვერაგულად მოექცა ერთი მუჭა ინტელიგენცია, სწორედ ის ხალხი, რომლებიც გამოჩნდნენ ეკრანზე შემრიგებლური ტონით, რომლებსაც სურთ, მის და საქართველოს წინაშე დაფარონ თავიანთი დანაშაული. სწორედ ისინი, რომლებიც დიდი სიფრთხილით ლაპარაკობენ ნახევარ სიმართლეს, არიან და იყვნენ მისი მოწინააღმდეგეები, წარმოდგენილი თომა ჩაგელიშვილის ფილმში. ერთი გამონაკლისის გარდა, ეს ზვიად ძიძიგურია, რომელმაც ბოლომდე უერთგულა.

გულსატკენი და შეურაცხმყოფელია ის ფაქტი, რომ მავანნი ერთმანეთისაგან აცალკევებენ ორ დიდ პიროვნებას — ზვიადს და მერაბს და ამით ცდილობენ, ზვიადს ჩრდილი მიაყენონ, მაგრამ ამას ისტორია არ დაუშვებს. თვით მერაბი უთმობდა მას პირველობას, რადგან პატრიოტული მოძრაობის თავკაცად ის მხოლოდ ზვიადს თვლიდა.

კიდევ ერთ ფაქტზე მინდა ახალმა თაობამ გაამახვილოს ყურადღება. ბატონი ზვიადის მოღვაწეობა პრეზიდენტის თანამდებობაზე სულ რაღაც 6 თვე გაგრძელდა. წარმოიდგინეთ, დღევანდელმა ხელისუფლებამ 6 თვეში კი არა, სამ წელიწადში ვერ შექმნა სახელმწიფოში კეთილი მდგომარეობა, ის, რომ შესამჩნევად დატყობოდა სახელმწიფოს წინსვლა. ამ დროს სწორედ იმ 6 თვეში მოხდა წყალდიდობა ფოთში (სახლები და კარმიდამოები მთლიანად დაიტბორა), მეწყრები აჭარაში (ოჯახები ქართლში გადაასახლეს და შეუქმნეს ცხოვრების სათანადო პირობები), მოხდა მიწისძვრა: დაინგრა საჩხერე, ამბროლაური, სვანეთში ზვავით მთლიანად ჩაიმარხა სოფელი, სვანთა ოჯახები გადაიყვანეს ქართლში და იქ დაასახლეს, მისცეს კარმიდამოები, სახლები; ახლად ააშენეს ამბროლაური და საჩხერე, არც ერთი პრეტენზია არ ყოფილა დაზარალებულთა ოჯახებიდან.

ამასთან ერთად, რუსეთიდან გადმოსახლებული დუხობორების 300 ოჯახმა გადაწყვიტა დაბრუნება თავის სამშობლოში. გაყიდეს სახლები, რომლებიც შეიძინა სახელმწიფომ და 300 ოჯახის კარმიდამოები და ბინები დაურიგდათ ახალდაქორწინებულ წყვილებს და ა. შ. ეს ყველაფერი (და უფრო მეტიც) იმ 6 თვეში გაკეთდა. აქ აღარ მივუთითებ, რამდენი გზა და ხიდი, ეკლესია და ა. შ. აშენდა, შეკეთდა. საკმარისი არ არის თუნდაც ეს მცირე ჩამონათვალი? ამასთან ერთად, რაც მთავარია, შემოიღო ისეთი კანონები, რომლებიც სამუდამოდ მნიშვნელოვანი იქნება და არის ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობისათვის. რაც მთავარია, თავისი დიპლომატიური პოლიტიკით კარგი დამოკიდებულება შეინარჩუნა აფხაზეთში.

რომ არა საქართველოს მიმართ საბედისწერო პოლიტიკა, ზვიადი დღესაც ცოცხალი იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს, 4 წლით იყო პრეზიდენტად არჩეული, არ მოწონდათ? მოეთმინათ 4 წელი და გადაერჩიათ! აბა ის ჯობდა, რომ უკვე 25 წელია დავბორიალობთ და ვერ გაგვიგნია გზა ჩახლართულ ლაბირინთში? ყველა რესპუბლიკამ საბჭოთა კავშირიდან გამოყოფით ჩვენზე კარგად მოიწყო ცხოვრება და ჩვენ კი ერთ ადგილზე ვიტკეპნებით.

ახლა ისიც: შევარდნაძის ვერაგული ნატურა ვერ იტანდა ზვიადის არსებობას! ის საქართველოში ჩამოაბრძანა სწორედ ჩაგელიშვილის „თაიგულმა" და ბევრმა სხვამ (სულ დაახლოებით 2000 კაცმა). ირინა სარიშვილის თაოსნობით საზოგადოება დააჩოქეს რუსთაველზე, რათა შევარდნაძე არ გადამდგარიყო! შევარდნაძის ცოდვებიდან აღსანიშნავია იუზა კობახიძის, თვითმფრინავის ბიჭების (მათთან ერთად მღვდლის), სოლიკო ხაბეიშვილის, პატარიძის და ბოლოს მერაბის და ზვიადის ტრაგედიები... მთავარი: აფხაზეთის ომში ჩაწყვიტა საქართველოს პატრიოტულად გამორჩეული ახალგაზრდობა. აი, ასეთები ვართ ქართველები, ბატონი ზვიადი „ბერბიჭაშვილებს" დავუთმეთ და დღეს უნდათ, თავი იმართლონ, შეარბილონ „ბერბიჭაშვილების" საქმენი საგმირონი (ილია ჭავჭავაძე ერთმა ბერბიჭაშვილმა მოკლა, ზვიადი კი — მრავალმა) და ნახევარი სიმართლით შეარბილონ მათი მზაკვრობა?

მე მიმაჩნია, რომ ობიექტურობა მოითხოვდა, ეს სურათი დაწყებულიყო სწორედ იმით, რომ ჩვენი მოსახლეობის 87 პროცენტი იყო ზვიადის მომხრე, მხოლოდ 13 პროცენტი იყო მოწინააღმდეგე, სწორედ ისინი, ვინც მონაწილეობდა ამ ფილმში და მასთან დამატებით კიდევ 2000-მდე კაცი, თბილისის მცხოვრებნი, კორუმპირებული ქართველი ინტელიგენცია. ამ პროცენტული რაოდენობით და თანაფარდობით უკვე იყო მიღწეული ის, რომ ზვიადმა ჩამოაყალიბა დემოკრატიული საქართველო, შექმნა დემოკრატიული მთავრობა, მაგრამ ვინ აცალა — 6 თვეში დაამხეს ეს ნამდვილად დემოკრატიული, ეროვნული და პატრიოტული, პატიოსანი ხალხისგან შედგენილი მთავრობა და მოიყვანეს შევარდნაძის, თენგიზ კიტოვანის და ჯაბა იოსელიანის კრიმინალური მთავრობა.

ისეთ დემოკრატიულ მთავრობას უკვე, ალბათ, ველარ ველირსებით, მით უფრო მე, ჩემი წლოვანების გამო. მიხეილ სააკაშვილს 9 წელი უთმინა ჩვენმა ხალხმა და თუნდაც ერთი წელი ვერ მოუთმინა ღვთისნიერ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, შემდგომში მთავრობები ცდილობდნენ და ცდილობენ, გაძარცვონ და დაეუფლონ საქართველოს ქონებას. აბა რა ჰქვია 321 მილიონი რომ დაიხარჯა 150 თუ 200 პარლამენტარის და სხვადასხვა მოხელის პრემიებზე? მაშინ, როცა 800000 პენსიონერის პენსიებზე იმ თანხის მხოლოდ მცირე ნაწილი გამოყვეს სამარცხვინო 10 ლარის მომატებისათვის. ასე გაამათხოვრეს თითქმის მილიონი პენსიონერი. ეს ხომ ამ გასაცოდავებული ხალხის შეურაცხყოფაა? ეს ხომ მათი დაცინვაა! აქ მინდა უსათუოდ აღვნიშნო დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილის დამსახურება, მის მიერ პრემიური სისტემის უსამართლობის აღიარება. მიხარია, რომ ღირსეული მამის ღირსეულმა შვილმა ხმა აღიმაღლა პარლამენტში.

რატომ უნდა მიხდებოდეს მე ამ საკითხზე წერა და ნაკლოვანებებზე მითითება? იცით თუ არა, რომ 321 მილიონით დაკმაყოფილდებოდა 10000 უსახლკარო მოქალაქე თითოეული 4-ოთახიანი ბინით? ეს როგორო, იკითხავს მავანი. გიპასუხებთ: ჩემმა ახლობელმა მუხიანში გაყიდა სამოთახიანი ბინა 40 ათას დოლარად და მხოლოდ 10 ათასი ლარის დამატება დასჭირდა, რათა აეშენებინა ორსართულიანი სახლი თითოეულ სართულზე 4 ოთახით სწორედ ამ ანგარიშით მივედი იმ დასკვნამდე, რომ ასე დაკმაყოფილდნენ უბინაონი, უსახლკარონი თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც, მრავალშვილიანი, დავრდომილწევრებიანი ოჯახები, რომელთა შესახებაც ყოველ ტელეგადაცემას გულის ტკივილამდე მიჰყავს ადამიანები! საკითხავია, იქნებ ფულის გაუფასურებაც არის ამის მიზეზი?

სულ რაღაც 2 მილიონი ლარი იყო საკმარისი, რომ 1630 მეცნიერებათა დოქტორისათვის, რომლებიც მხოლოდ 150 ლარ პენსიას იღებენ, 70 ლარის დამატება მიეცათ. ამით დაფასდებოდა მათი 50-წლიანი დამსახურება და არ მოხდებოდა მათი გათანაბრება იმ ხალხთან, რომლებსაც საერთოდ არ უმუშავიათ და მაინც იგივე პენსიას — 150 ლარს იღებენ. „ჩარეცხილების" იარლიყსაც მოიხსნიდნენ და დაფასებულად წავიდოდნენ ამ სოფლიდან. აი ეს გააკეთა დღევანდელმა მთავრობამ ნოდარ ხადურის თაოსნობით. ან კი რა გასაკვირია — მან არ იცის მეცნიერების ფასი!

აი, ასეთი საქართველო მივიღეთ შევარდნაძის და სააკაშვილის პოლიტიკით.

ჩაგელიშვილს კი ვეტყვი: ჩემო კარგო, ეცადე, უფრო კარგად შენიღბო საქართველოს მტრების ნამოქმედარი, თორემ ჯერ კიდევ ვართ ცოცხლები ისინი, ვინც უშუალოდ ვმონაწილეობდით მაშინდელ მოვლენებში და გვახსოვს, როგორ დაამხეს ზვიად გამსახურდიას პატიოსანი მთავრობა.



**ელენე აბაშიძე,**
**გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ამერიკისაგან მსოფლიოს მეცნიერებაში წლის ქალად აღიარებული და აგრეთვე მსოფლიოში 100 გამოჩენილ მეცნიერს შორის დასახელებული, 93 წლის 150-ლარიანი, მარტოხელა პენსიონერი.**

## ალიან-ჩალიანი

### საჩუქარი გაერთიანებული სამეფოდან

**დაჭრილმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს სახელით საჩუქარი მიიღეს.**

**მჯდომარე ფრენბურთისთვის განკუთვნილი სპორტული აღჭურვილობა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სამთავრობო ტერმინალში, დიდი ბრიტანეთის ახალშეძენილი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის ეკიპაჟმა ჩამოიტანა.**

**საჩუქარი დაჭრილ სამხედროებს დიდი ბრიტანეთის თავდაცვის ატაშემ, ვიცე-პოლკოვნიკმა ნიკ უილკესმა გადასცა.**

**„მოხარული ვარ, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ვიმყოფები, სადაც სამეფო საჰაერო ძალების ახალშეძენილი თვითმფრინავი დაფრინდა. ბორტმა ქართველ დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეებს გაერთიანებული სამეფოს შეიარაღებული ძალების საჩუქარი ჩამოუტანა. ჩვენ დაჭრილ სამხედროებთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოვაყალიბეთ, რომელიც გასულ წელს „ძლიერთა თამაშებში" მონაწილეობით დაიწყო. ძალიან მიხარია, რომ იმ აქტივობებში, რასაც ქართველი დაჭრილი სამხედროები აკეთებენ, პატარა წვლილი მეც მიმიძღვის. ჩვენი საჩუქარი მჯდომარე ფრენბურთისთვის განკუთვნილი სპორტული ინვენტარია. დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისთვის სპეციალური დეპარტამენტი შექმნა, რომელიც არა მხოლოდ მათ რეაბილიტაციასა და გამოჯანმრთელებაზე ზრუნავს, არამედ მხარს უჭერს", — აღნიშნა გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის ატაშემ, ვიცე-პოლკოვნიკმა ნიკ უილკესმა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ღონისძიებას დაესწრნენ გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ომარ ბეგოიძე, თავდაცვის უწყების წარმომადგენლები და დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები, ასევე საქართველოში აკრედიტებული ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის ატაშეები.**

**თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სამთავრობო ტერმინალში დიდი ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალების ახალშეძენილი თვითმფრინავის A400M Atlas პრეზენტაცია და მიღება გაიმართა. ღონისძიებაზე დაჭრილი ქართველი სამხედროების სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ფოტოგამოფენაც მოეწყო.**

**ინტერპრესი**

ჭიდაობა



# სამივე სინჯის თითო მედალი

**ათენში გამართულ ვეტერან ფალავანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვეს. 60-წლამდელებში თეიმურაზ ხაბაძემ (97 კგ) ჩემპიონობა არავის დაუთმო. პირველ წრეში მან თურქ ჰასან ოლმეზს 11:0 სძლია, სამხრეთაფრიკელ რეგინოლდ ვილმოტ ჰოლდერს 9:0 მოუგო, მისი თანამემამულე პეტრუს სტეფანუს ვერმააკი 10:0 დაჯაბნა და გადამწყვეტ პაექრობაში რუს ნიკოლაი კაზაკოვს უნდა დაპირისპირებოდა, მაგრამ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ხალიჩაზე არ გამოუცხადდა და ხაბაძეს ოქროს მედალი უბრძოლველად ერგო.**

45-წლამდელებში ლუკა კურტანიძემ (130 კგ) ორი მეტოქე ჩამოიცილა – თურქი შენერ სარი (3:1) და ირანელი მოჰამედრეზა კორდაბაჩე (10:0), გადამწყვეტი პაექრობა კი ირანელ მოჰამედ ებრაჰი აკბარურსთან დათმო (4:7) და მეორე ადგილს დასჯერდა. 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჯემალ კილაძემ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა: პირველ-მეორე წრეში ამერიკელ ვესლი ჯერმეინსა (12:2) და სამხრეთაფრიკელ იოჰანეს კრისტ ლომბაარდის (10:6) აჯობა, ნახევარფინალში იაპონელ ჰიროსაკი შიბატასთან წააგო (0:10), დამამშვიდებელში კი ბერძენი პავლოს კორონიდისის ძლევით მესამე ადგილზე გავიდა.

**გივი გაგუა**

ხელბურთი

# საქართველო ისრაელით იწყებს

**საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები წლეულს 5 ნოემბრიდან მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპში ჩაებმება, რომლის ფინალური რაუნდი ორი წლის შემდეგ საფრანგეთში გაიმართება.** ევროპიდან 22 ქვეყნის ნაკრები, რომლებიც კონტინენტის 2016 წლის პირველობის ფინალში არ მონაწილეობენ, წილისყრით 6 ჯგუფში გადანაწილდა, საიდანაც თითო გამარჯვებული პლეი ოფში ევრო-2016-დან (მედალოსნები და საფრანგეთი, როგორც მასპინძელი, პირდაპირ მოხვდებიან მსოფლიოს ჩემპიონატზე) მეოთხე-მეთექვსმეტე ადგილებზე გასულებს დაუწყვილდება. საქართველოს ნაკრები მე-5 ჯგუფში მოხვდა და თელ ავივში ისრაელს, პორტუგალიას და ესტონეთს დაუპირისპირდება:

**5 ნოემბერი:** პორტუგალია-ესტონეთი, ისრაელი-საქართველო.

**6 ნოემბერი:** ესტონეთი-ისრაელი, საქართველო-პორტუგალია.

**7 ნოემბერი:** ესტონეთი-საქართველო, პორტუგალია-ისრაელი.

I **ჯგუფი:** ბოსნია, ლიტვა, სლოვაკეთი, კოსოვო.

II **ჯგუფი:** ავსტრია, ფინეთი, რუმინეთი, იტალია.

III **ჯგუფი:** ლატვია, უკრაინა, საბერძნეთი, კვიპროსი.

IV **ჯგუფი:** ჩეხეთი, თურქეთი, ბელგია.

VI **ჯგუფი:** ჰოლანდია, შვეიცარია, ლუქსემბურგი.

საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ჩვენს ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ლევან გელაშვილი მოამზადებს. იგი ხელბურთს 1986-2007 წლებში თამაშობდა. საქართველოს ჩემპიონატში სხვადასხვა დროს იყო „ამირანის“, „მართვეს“, სტუ-„შევარდენის“, „თბილისისა“ და „პეგასის“ წევრი, 1996-1997 და 2000-2006 წლებში ბერძნული კლუბების ღირსებას იცავდა, ხოლო ეროვნულ ნაკრებში 1991-2007 წლებში გამოდიოდა, იყო მისი კაპიტანიც და მწვრთნელადაც უმუშავია. 2014 წელს წარმატებით გაიარა ევროპის ხელბურთის ფედერაციის უმაღლესი – მასტერ-კოუჩის სამწვრთნელო კურსი.



ლევან გელაშვილმა გვითხრა, რომ ნაკრების კანდიდატთა წრე მონიშნული აქვს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ საქართველოს თასის გათამაშების შემდეგ მიიღებს, ეს შეჯიბრება კი თბილისში 19 ოქტომბრიდან გაიმართება. მანამდე 15 ოქტომბერს ჩვენი ორი მოწინავე კლუბი – „ქუთაისი“ და „სამტრედია“ საკონტროლო მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს. ოქტომბრის ბოლომდე ნაკრებს ლეგიონერებიც დაემატებიან. ისრაელის შესარჩევ ტურნირზე გელაშვილის თანაშემწე იქნება გიორგი გვაზავა, რომელიც გოგონათა ნაკრების მთავარ მწვრთნელად მუშაობს.

**ლექსო ცინცაძე**

ჭადრაკი

# ჰოუ იფანმა ჩემპიონობა ვადამდე მოიპოვა

**დასარულს მიუახლოვდა ქალთა შორის 2015-16 წლების გრან-პრის გათამაშების პირველი ეტაპი, რომელსაც მონაკო მასპინძლობს. ვადამდე გახდა ცნობილი პირველი და ბოლო, მე-12 ადგილის მფლობელთა ვინაობა.**

ასპარეზობის ერთპიროვნულმა ლიდერმა, ქალთა შორის ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე ჩინელმა ჰოუ იფანმა ბოლოსწინა, მე-10 ტურში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი მარია მუზიჩუკი დაამარცხა, 8.5 ქულა დააგროვა, უახლოეს მდევარ ჰამპი კონერუს 1.5 ქულით გაუსწრო და პირველი ადგილი ვადამდე გაინაღდა.

რაც შეეხება ტურნირის მონაწილეთა შორის ყველაზე დაბალი რეიტინგის მქონე ირანელ სარასადატ ხადემალშარიეს, მას 1.5 ქულა აქვს და კარგა ხანია, რაც ბოლო ადგილი დაიბევა.

ქართველი გულშემატკივრებისათვის ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ზედიზედ მე-3 შეხვედრა მოიგო ჩვენმა საერთაშორისო დიდოსტატმა ნანა ძაგნიძემ,



რომელიც ამ ტურში ანა მუზიჩუკს ხვდებოდა. ძაგნიძეს არც ზედიზედ მე-4 გამარჯვების მოპოვება უნდა გაუჭირდეს, რადგან ბოლო ტურში მისი მეტოქე ხადემალშარიე იქნება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

საფეხბურთო მოზაიკა

## ვილიანის რეკორდი

**მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ჯგუფის მეორე ტურის მატჩში ბრაზილიამ ვენესუელას 3:1 მოუგო, პენტაკამპეონთა ნახევარმცველი ვილიანი კი რეკორდის ავტორი გახდა. „ჩელსის“ წევრმა ვენესუელელთა კარი ასპარეზობის 36-ე წამზე აიღო, რაც კონტინენტის მუნდიალების საკვალიფიკაციო შეხვედრების ყველაზე სწრაფი გოლია.**

ვილიანამდე რეკორდი პერუელ ხოსე პაოლო გერეროს ეკუთვნოდა, რომელმაც 2005 წელს გოლის გატანა მეორმოცე წამზე მოახერხა.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების სამხრეთ ამერიკის ზონის ყველაზე სწრაფი გოლების ავტორების ოთხეული შემდეგნაირად გამოიყურება:

ვილიანი (36 წამი), გერერო (40), რონალდო (50), რაულ ნორიეგა (55).



## „რეალი“ არ ჩქარობს

**მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობა გუნდის პორტუგალიელ ლიდერ კრიშტიანუ რონალდუსთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს.**

**Goal-ის ცნობით, „სამეფო კლუბის“ ბოსებმა რონალდუს პირადი საუბრისას აცნობეს, რომ მასთან ხელშეკრულების გახანგრძლივების აუცილებლობას ვერ ხედავენ.**

30 წლის ფეხბურთელს მადრიდელებთან მოქმედი შეთანხმება 2018 წლამდე აკავშირებს.

ოქტომბრის დასაწყისში კრიშტიანუმ განაცხადა, რომ ჯერ არ იცის, რა მოხდება მომავალში. უფრო ადრე ის ამბობდა, რომ კარიერის ამერიკულ MLS-ში დასრულება უნდა. ამასთან, „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა თქვა, რომ კლუბი მზადაა, რონალდუსთან კონტრაქტი გაახანგრძლივოს, თუმცა, იქვე დაამატა – “ცხოვრებაში ყველაფერია მოსალოდნელი“.

რამდენიმე დღის წინათ რონალდუმ კარიერაში მეოთხე „ოქროს ბუცი“ მიიღო და თქვა, რომ კარიერის დასრულება „რეალში“ უნდა.

## პრინცის მეორე ცდა

**იორდანიის პრინცმა ალი ბინ ალ-ჰუსეინმა ფიფას პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურა წამოაყენა.**

**არჩევნები მომავალი წლის 26 თებერვალს უნდა ჩატარდეს, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ვადები შეიცვალოს.**

„ფიფაში არსებული კრიზისი შესაძლოა პოზიტიური ცვლილებებისთვის იქნას გამოყენებული. ორგანიზაციის მომავალთან დაკავშირებით მიმდინარე განხილვისას ძალიან ბევრი კარგი იდეა დაგვებადა. ახლა საჭიროა, რომ ეს იდეები განვახორციელოთ – მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დადგება კარგი მომავალი. ამისათვის ლიდერია საჭირო. დარწმუნებული ვარ, შევძლებ ფიფას ურთულესი მდგომარეობიდან გამოყვანას, ის აღიდგენს რეპუტაციას და პატივისცემას“ – განუცხადა BBC-ის ალ-ჰუსეინმა.

შეგახსენებთ, რომ ფიფას ამჟამინდელი პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი კორუფციულ სკანდალშია ეჭვმიტანილი და დროებით ჩამოშორებულია საქმიანობას.

პრინცმა ალიმ ფიფას ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებშიც მიიღო მონაწილეობა. პირველ ტურში მან 73 ხმა მიიღო, ბლატერმა კი – 133. საბოლოოდ მეორე ტურში ალი ბინ ალ-ჰუსეინმა კანდიდატურა მოხსნა.

## კანდიდატებს ზეედორფიც დაემატა

**ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ეროვნული გუნდის თავკაცის პოსტზე ორ კანდიდატურას განიხილავს.**

**აქამდეც ცნობილი იყო, რომ მთავარი მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი რონალდ კუმანი იყო და ახლა მას კონკურენციას კლარენს ზეედორფი გაუწევს.**

ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გუნდი ამჟამინდელ თავკაცს დანი ბლინდს უნდა მოემზადებინა, თუმცა, Tuttosport-ის მტკიცებით, ის დაკავებულ თანამდებობას დატოვებს.

ეს არცაა გასაკვირი, რადგან ჰოლანდიის ნაკრებმა 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ჩააგდო, ჯგუფში მხოლოდ მე-4 ადგილი დაიკავა და მთავარი ტურნირის მიღმა დარჩა.

მოცემული მომენტისთვის კუმანი ინგლისის პრემიერლიგაში „საუთჰემპტონის“ მთავარ მწვრთნელად მუშაობს. რაც შეეხება ზეედორფს, ის დროებით უმუშევარია.

## ვან პერსის „ბარსამ“ დაუმიზნა

**სტამბოლის „ფენერბახჩეს“ ჰოლანდიელი ცენტრფორვარდი რობინ ვან პერსი შესაძლოა კატალონიის „ბარსელონაში“ ვიხილოთ. ამის თაობაზე ცნობას El Mundo Deportivo ავრცელებს. 32 წლის თავდამსხმელი გასულ ზაფხულს გადავიდა თურქეთში და „ფენერის“ მწვრთნელებმა ერთ-ერთ მატჩში სათადარიგოთა სკამზე დატოვეს, რის გამოც უკმაყოფილება არ დაუმალავს.**

„ბარსას“ რაც შეეხება, ხსენებული გამოცემის მტკიცებით კამპ ნოუელები გამოცდილ შემტევს ეძებენ, თანაც ისეთს, რომლის სანაცვლოდაც დიდძალი სატრანსფერო თანხის გადახდა არ მოუწევთ. სწორედ ამგვარ ფეხბურთელად „ბლაუგრანას“ ბოსებს „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „არსენალის“ ექსფორვარდი მიაჩნიათ.

მიმდინარე სეზონში „ფენერბახჩეს“ მაისურით გამოსვლისას რობინ ვან პერსიმ 12 შეხვედრა ჩაატარა, 4 გოლი გაიტანა და ერთი შედეგიანი პასიც შეასრულა.

## აგუეროს იმედი აქვს

**არგენტინის ნაკრების ფორვარდმა სერხიო აგუერომ მსოფლიოს ჩემპიონატის სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში ეკვადორის წინააღმდეგ თამაშისას ბარძაყის ტრავმა მიიღო და საფეხბურთო მინდორს გარკვეული ვადით დაემშვიდობა. აგუეროს იმედი აქვს, რომ 14 ნოემბრამდე მწყობრში ჩადგომას მოასწრებს.** ამ დღეს ბუენოს აირესში „სუპერკლასიკო“ ჩატარდება – არგენტინა ბრაზილიას უმასპინძლებს.

„ვიმედოვნებ, ბრაზილიელთა წინააღმდეგ ასპარეზობას შევძლებ. ამასთან, თუკი ტრავმა ბოლომდე არ მოვიშუშე, ჯანმრთელობის ხარჯზე გარისკვა არ ღირს. მინდორზე დაბრუნებას მოუთმენლად ველი, მაგრამ სიჩქარე დაუშვებელია“, – აგუეროს სიტყვებს The Guardian ციტირებს.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# ლუსი და „წმინდანები“

**ხანდახან ისე ხდება ხოლმე, რომ ცნობილ მოდელებს პოპულარობისათვის ნაკლებად წარმატებული კლუბებიც კი ჰყოფნით. აი, მაგალითად, ინგლისელი მოდელი და მსახიობი ლუსი პინდერი, როგორც ჩანს, ერთობ ორიგინალური ქალბატონია და სულაც არ ეტრფის მისი მკერდივით მსხვილ და გრანდიოზულ საფეხბურთო კლუბებს.**

ლუსი უკვე წლებია, რაც საშუალო დონის ინგლისურ კლუბს „საუთჰემპტონს“ ქომაგობს და ბრიტანულ მედიასთან საუბარში გამუდმებით იმეორებს, რომ ეს კლუბი ძალიან მოსწონს და მისთვის სატურნირო ცხრილზე მნიშვნელოვანი კლუბის ისტორიაა.

ამასწინათ ლუსი პინდერმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მოხარულია „საუთჰემპტონის“ ფინანსური გაძლიერებით, თუმცა, არ სურს, ეს კლუბი „ჩელსი“ და „სიტივით“ გიგანტურ მონსტრად ჩამოყალიბდეს და ძველებური ხიბლი დაკარგოს. მოდელი ასევე ამბობს, რომ „წმინდანების“ წარმატებები ძალიან სურს, თუმცა, არ უნდა, რომ ეს მხოლოდ დიდი ფულის ხარჯზე მოხდეს.

**როსტომ რაჭველიშვილი**



# გიორგი ფოფხაძე: ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ ის საიდუმლო, რაზეც ძალიან ბევრ ერს წარმოდგენაც არ ჰქონდა

**„ეს ყველაფერი ისეთი აღმოჩენაა ჩემთვის, რომ ვერ წარმოიდგენთ...“ — საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე სოციალურ ქსელში წერს:**



„ოთხი დღეა ირაკლი შონიასთან ერთად დავყვები ფრანგ მეცნიერებს, რომლებიც ქართული ეკლესიების ბიოენერგეტიკულ და კოსმიურ ველებს და ენერგიებს სწავლობენ... მარტივად და ძალიან მოკლედ რომ ვთქვა, ჩვენ წინაპრებს ჰქონდათ უდიდესი ცოდნა, გაოცებული ვუყურებ ფრანგებს, რომლებიც ამბობენ, რომ ყველა ეკლესია, რომელიც საქართველოში აშენებულა 1801 წლამდე (ანუ რუსეთის ოკუპაციამდე), უდიდესი ენერგიის და ბიოენერგეტიკული ცოდნის საფუძველზეა აგებული, ანუ ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ ის საიდუმლო, რაზეც ძალიან ბევრ ერს წარმოდგენაც არ ჰქონდა. ქართულ ტაძრებში ყველა დეტალი, ყველა ორნამენტი, თუნდაც პატარა კენჭი, არა უბრალოდ, არამედ საჭიროებისდა მიხედვით არის ჩაშენებულ-ჩადულაბებული... ეს ყველაფერი ისეთი აღმოჩენაა ჩემთვის, რომ ვერ წარმოიდგენთ... არადა, სამწუხაროდ, ეს ცოდნა, დღეს დაკარგულია და მსურველიც არავინ არაა, გარდა ირაკლი შონიასი და იმ ფრანგი მეცნიერებისა.... მე ისიც არ ვიცოდი, მარტო ირაკლი შონია თუ გვყავდა საქართველოში ამ დიდი და საჭირო საქმის მკვლევარ- მაძიებელი“, — წერს ფოფხაძე.



**საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო საგამომცემლო ფონდი იუწყება შესანიშნავი პიროვნების, საზოგადო მოღვაწის, ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლის, საქართველოს დამსახურებული ინჟინრის**

**ნოშრევან სიგუას**

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო საგამომცემლო ფონდის სახელით**
**ალეკო კაკულია,**
**ვაჟა ნადირაშვილი**

**თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ გია, ვაჟა, ჟუჟუნა, ნანა ბაკურაძეებს მეუღლისა და რძლის**

**აზა პავლეს ასულ ბიწაძე-ბაკურაძის**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## რანი ვყოფილვართ...

# საჭრეთლის დიდოსტატის ოქროს ხანა

**უხსოვარი დროიდან, ჯერ კიდევ სანამ ასურელი მეფენი ქვასტელებზე ლურსმულად თავიანთ გმირობებს ჩამოარაკრაკებდნენ და მედიდურად ამცნობდნენ მაშინდელ მსოფლიოს თუ რამდენჯერ დალაშქრეს ჩვენი ქვეყანა, საგმირო საქმეები ლეგენდებად თაობიდან თაობებს გადაეცემოდა სულ უბრალოდ, სახალხო მთქმელების მეშვეობით.** დადიოდნენ სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ გლახის



ტანსაცმელში შემოსილი ბრძენ-მგალობელნი და ზოგნიც თარზე და ზოგნიც გუდასტვირზე დამღერებით უთხრობდნენ ხალხს იმ გმირ წინაპართა საგმირო საქმეებს, რომლებიც თურმე არა მარტო მომხდურ ურიცხვ მტერს ერკინებოდნენ, არამედ თვით უზენაეს ღმერთებსაც კი. ეს ღმერთები კი ჩვეულებრივ ცხოვრობდნენ ჩვენს გვერდით, ზოგიც კეთილი და ზოგიც ბოროტი. იქმნებოდა ბალადები, ლეგენდები, ზღაპრები, ეპოსები. ერთაგან თქმულს სხვა ალამაზებდა, თუ რამე გამორჩებოდა თავის შეთხზულს უმატებდა და შემდეგ თავად დადიოდა სოფელ-სოფელ და ქალაქ-ქალაქ. ასე მოაღწია ჩვენამდის ამირანის მითმა მეთარეების, მესტვირეებისა და ბრმა მეჩონგურეთა ათასგვარად გადაკეთებულ-გამშვენიერებულმა, ასე მოაღწია ჩვენამდის ბეთქილის, გივერგილის საგმირო საქმეებმა, ვეფხისა და მოყმის ბალადამ, უკვდავმა მირანგულამ და შავლეგომ.

ვკითხულობ საქართველოს დამსახურებული მხატვრის, ცნობილი მოქანდაკის **ვახტანგ ონიანის** ვრცელ ეპოსს **„ოქროს ხანას“** და მეც თითქოს იმ გაოცებულ მსმენელთა შორის ვარ, ქალაქის ბაზრის მოედანზე მოხუცი მესტვირე რომ უყვება უხსოვარი დროის ამბებს. სწორედ უხსოვარი დროიდან იწყებს საჭრეთლის ოსტატი თავისი ქვეყნის ისტორიას, ნაბიჯ-ნაბიჯ უტყუარი საბუთებით, რათა ვინმეს ეშმაკი არ შეუჩნდეს და ხმა აღიმაღლოს — ტყუილია, ძაან აბუქებ და ლამაზად გვიხატავო, — ცნობილ ისტორიკოსებსაც იმოწმებს შიგადაშიგ, ათასობით გადაკითხულ ჩვენი თუ უცხოტომელთა ლიტერატურას ჩამოაწიკწიკებს სქოლიოებში და ისე ყვება ლექსად, ბალადად ქცეულ ქართველთა ისტორიის ოქროს ხანას. ყვება და შენს თვალწინ ცოცხლდებიან ლეგენდარული ფარნავაზი, გორგასალი, არჩილ წამებული თუ ფარსმან ქველი, მირიანი და ჩვენი ქრისტეს სჯულზე მომქცევი წმინდა ნინო, უხსოვარი ბიბლიური დროიდან მოყვება და მოვა ხმლის ქნევითა და ჰოროლთა ტყორცნით, ბუკითა და ნაღარით, ტკივილითა და სიამაყით, ცრემლითა და ოხვრით, მაგრამ ამაყი და ნამუსშეურცხვენელი, მოვა იმ „ოქროს ხანამდე“ რომელსაც დავითისა და თამარის ეპოქა ჰქვია, რომლითაც ახლა ვამაყობთ თუ ვამაყობთ, რადგან იმ მიწების მესამედიც აღარ შეგვრჩა რომელზეც ამაყად ვიდოდით, ვამუშავებდით, ვეფერებოდით, სისხლით ვაპოხიერებდით და მამა-პაპის ძვლებს ვავანებდით. ვამაყობთ უფრო მეტად, რამეთუ იმ ვაჟკაცობის ნატამალიც არ შეგვრჩენია, რომელიც „ოქროს ხანის“ მომყვანთ ჰქონდათ, უფრო მეტიც, სურვილიცა ჰქრება და მავანთა ბრძანებითა და შეგონებით სწორედ იმ „ოქროს ხანის“ დავიწყება-წაშლას გვაიძულებენ, მახსოვრობიდან ამოშლას გვიკიჟინებენ ლიბერალებისა და მეგობრობის მანტომოსხმული ათასი ჯურის მანქურთები. სწორედ ისინი, რომლებმაც შეძლეს, ზურგზე დაეცათ ღმერთებთან მებრძოლი ამირანი, ჩვენი დიდებული წინაპარი, რომელთაც მსოფლიოს მრავალი უძველესი ხალხი თავისად მიიჩნევდნენ და ბატონმა ვახტანგ ონიანმა თავისი სიღნაღში აღმართული უზარმაზარი კოლოსით ბეჭედი დაუსვა ამ კინკლაობას, სვანური რიხითა და გამბედაობით შესძახა — „ამირანი ჩვენია!!!“ სწორედ ის ამირანი დასცეს ზურგზე და არა მარტო მის შემქმნელს ატკინეს გული, არამედ ჩვენ ქართველ ხალხს ისტორიული, უხსოვარი დროის ლეგენდად შემორჩენილი წინაპრის სახება ჩაგვიკლეს.




სწორედ ამ „ოქროს ხანაზე“ მღერის ბატონი ვახტანგი, მოჰყვება-მეთქი ნაბიჯ-ნაბიჯ და ჩაათავებს ამ ბრწყინვალე სამასწლეულს ქართველი ხალხის ზეობისას, სევდით, ცრემლით და ბოლოს თითქოს მიმოიხედავს, მსმენელთ გადახედავს, ხომ არ ჩასძინებიათო ტკბილ ამბავთა თხრობაში, ან ძალზეც ხომ არ აღტკინებულან და თავში ხომ არ ავარდნიათ ამგვარი ქება-დიდებაო, და კვლავ შეგონებით ასრულებს გულით ამონათქვამს, რომელსაც მთელი ნახევარი საუკუნე ეჭიდებოდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციანი წლების მიწურულიდან. დიახ, ეჭიდებოდა, ეფერებოდა, სიტყვას წონიდა, თავადვე აფორმებდა შესანიშნავი ილუსტრაციებით და სწორედ იმისთვის რათა გალექსილი ისტორია მოეწოდებინა ჩვენთვის. ბევრი აღმასვლა და გულისტკივილი ყოფილა ამ ხნის მანძილზე ავტორის ცხოვრებაშიც, რადგან იგი საოცრად გავს თავის სამშობლოს. სამშობლოს, რომ არა გავდე ვერც შეიყვარებ, ვერ გაითავისებ მის ტკივილ-საფიქრალს. აკი შეპარვით ამბობს კიდეც:

**„ქვის და ყალმის ოსტატი ვარ**
**ბევრი ვწერე, ბევრი ვხატე,**
**ჩემს იდეალს შევეწირე,**
**ვწყევლე — რისთვის დავიბადე.**
**ჩვენი ერის სადიდებლად**
**ქვა და რკინა ბევრი ვკოდე,**
**სიბერის მწუხრს ვერ წაუხვალ**
**რაც არ უნდა გაურბოდე.**
**„ნათელსვეტის“ თავში დაგსვი,**
**ამირანის ცეცხლით ვანთე“.**

ასე შესჩივის თავისა და ქვეყნის გასაჭირზე დიდ რუსთაველს დღევანდელობიდან „ოქროს ხანაში“.

ბევრ სატკივართან ერთად მომავლის იმედსაც ისახავს, რისი ნათელი დასტურიც ამ მშვენიერი წიგნის მოძღვნიდანაც ჩანს —**„ვუძღვნი ჩემს შვილიშვილს მარკო ონიანს“**. სწორედ ესაა იმედი, ასწავლო შვილიშვილს, „რანი ვიყავით და რანი ვართ“, რა წვალებით მივაღწიეთ ურიცხვ მტერთა ურდოებით გარშემორტყმულებმა ღმერთის წყალობითა და საკუთარი ვაჟკაცობა-რწმენით იმ ოქროს ხანით, რომლითაც ვამაყობთ და როგორი მცონარობითა და საკუთარი ხალხის ღალატით შეიძლება ერთ დღეში დაკარგო ყველაფერი. ეს წიგნი-შეგონება არამხოლოდ მარკო ონიანისთვის, არამედ იმ მილიონობით პატარა ქართველისთვისაა დაწერილი, რომლებმაც ახალ ოქროს ხანამდე უნდა მიგვიყვანოს.

**მამუკა ვაშაკიძე**

## ინფორმაცია

### ქრთამი მუნიციპალიტეტს ანათებს

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქრთამის აღების ფაქტზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის მონიტორინგის განყოფილების თანამშრომელი ნიკოლოზ ირემაშვილი დააკავა.**

**ბრალდებულმა ერთ-ერთ მეწარმე სუბიექტს, სამეწარმეო საქმიანობისათვის ტერიტორიის უკანონოდ გამოყოფისა და შემდგომში სამსახურებრივი მფარველობის სანაცვლოდ, ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 1200 ლარი.**

**საქმეზე გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.**

## განცხადება

**დაინტერესებულ** მხარეთა საყურადღებოდ, 2015 წლის 8 დეკემბერს 13 საათზე, შპს „ბიზნეს სერვისის“ ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. № 32) გაიმართება შპს „ბიზნეს სერვისის“ ასფალტის საამქროს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შპს „ბიზნეს სერვისის“ ადმინისტრაციულ შენობაში მისამართი: ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. № 32.

გთხოვთ წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ გიორგი გრიგოლიას ტელ: 595906648; E-mail: bisn.service@gmail.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საინტერესო ფაქტები

# 16 საკვირველი ფაქტი ჩინეთის შესახებ, რომელიც გაგაოცებთ



**გამოცემა** Business Insider-**მა შეადგინა ყველაზე შოკისმომგვრელი ფაქტები ჩინეთის შესახებ.**

**ჩინეთი — მოსახლეობა 1.34 მლრდ ადამიანი; ტერიტორია - 9 მლნ კვ/მ-ზე მეტი.**

1. ჩინეთში ყოველწლიურად იჩეხება 20 მლნ ხე მხოლოდ იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს ბაზარზე საჭმელი ჩხირების მიწოდების მოთხოვნილება. ერთ წელში ჩინელები 80 მლრდ ერთჯერად ხის ჯოხს მოიხმარენ. საჭმელი ჩხირების საწარმოებლად იყენებენ ხეს, რომელიც 20 წელზე მეტი ხნისაა.

2. ჩინეთის სარკინიგზო გზა პლანეტას ორჯერ შემოუვლის. ჩინეთში სარკინიგზო გზის სიგრძეა 93 000 კმ, ხოლო დედამიწის გარშემოწერილობა 40 075 კმ-ია.

3. ჩინეთის ქვანახშირის მთლიანი მარაგი 575 მილიონი ლურჯი ვეშაპის წონას იწონის. ქვეყანა ქვანახშირის მარაგით (115 მლრდ ტონა) მსოფლიოში მესამე ადგილს იკავებს. სამყაროში ყველაზე დიდი ცხოველი ლურჯი ვეშაპი კი 200 ტონაზე მეტს იწონის.

4. 2 წელიწადში ჩინეთმა აწარმოა იმდენივე ცემენტი, რამდენიც აშშ-მა მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში. ჩინეთი მსოფლიოში ცემენტის უმსხვილესი მწარმოებელია. ქვეყანა აწარმოებს და მოიხმარს პლანეტაზე არსებული ცემენტის 60%-ს.

5. მოწევა ყოველდღიურად 1 მლნ ჩინელს კლავს. ეს იმაზე მეტია, ვიდრე კვიპროსის მოსახლეობა (865 000). ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზით, 2050 წლისთვის მოწევისგან ჩინეთში დღეში 3 მლნ ადამიანი დაიღუპება.

6. ბუნებრივი აირის მარაგი 1.24 მლრდ ოლიმპიური საცურაო აუზის ტოლია. ჩინეთს 109,3 ტრილიონი კუბური ფუტი ბუნებრივი აირის მარაგი აქვს, მას მსოფლიოში მე-13 ადგილი უჭირავს ამ მაჩვენებლით.

7. წელიწადში ჩინეთში იმდენ ატრიას მიირთმევენ, რამდენიც ალჟირის მოსახლეობას ეყოფოდა წელიწადში, სამჯერადი კვების გათვალისწინებით. 2011 წელს ჩინეთში 42.5 მლრდ შეკვრა სწრაფი მომზადების ატრია შეიჭამა. ალჟირის მოსახლეობა კი 38.7 მლნ ადამიანია.

8. ჩინელები ყოველწლიურად მიირთმევენ 5 200 ეიფელის კოშკის წონა ღორის ხორცს. 2012 წელს ჩინეთის მოსახლეობამ 52 მლნ ტონა ღორის ხორცი შეჭამა. ეიფელის კოშკი კი 10 000 ტონას იწონის.

9. 20 ყველაზე მდიდარი ჩინელი უნგრეთზე მდიდარია. ჩინეთის 20 უმდიდრესი ადამიანის ქონება შეადგენს 145.1 მლრდ დოლარს, რაც უნგრეთის მთლიან შიდა პროდუქტზე მეტია. უნგრეთის ნომინალური მშპ 124 მლრდ დოლარია.

10. 30 მლნ-ზე მეტი ჩინელი გამოქვაბულში ცხოვრობს — ეს რიცხვი იმაზე მეტია, ვიდრე საუდის არაბეთის მთლიანი მოსახლეობის რაოდენობა.

11. ჩინეთში ყოველწლიურად დაახლოებით 8 მლრდ წყვილი წინდა იწარმოება — წინდების ეს რაოდენობა პლანეტის ყველა მცხოვრებს უზრუნველყოფდა.

12 . ჩინეთში თვითმკვლელობების რიცხვი აშშ-სთან შედარებით ორჯერ მეტია.

13. ჩინეთს მხოლოდ ერთი სასაათო სარტყელი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ტერიტორია ამერიკის კონტინენტის მსგავსად დიდი ზომისაა, მას მხოლოდ ერთი სასაათო სარტყელი და პეკინის სტანდარტული დრო აქვს. ადრე ჩინეთს 5 სასაათო სარტყელი ჰქონდა, მაგრამ 1949 წელს მაომ გადაწყვიტა ერთი დაეტოვებინა (ის იმედოვნებდა, რომ ამგვარად ქვეყანას გააერთიანებდა). ახლა ჩინეთის ზოგიერთ რეგიონში მზე დილის 10 საათზე ამოდის.

14. ჩინეთის კვების მრეწველობა პლანეტის მოსახლეობის 25%-ს უზრუნველყოფს, იმ დროს, როდესაც ქვეყანას პლანეტის სახნავად ვარგისი მიწების მხოლოდ 7% აქვს.

15. ჩინელი მომხმარებლების ხარჯები 2020 წლისთვის სამჯერ გაიზრდება — ივარაუდება, რომ ჩინელ მომხმარებელთა ხარჯები 2.3 ტრილიონიდან (2010 წ.) 6.18 ტრილიონამდე (2020 წ.) გაიზრდება.

16. მსოფლიოში არსებული ღორების ნახევარი ჩინეთშია. ქვეყანა ღორის ხორცის ყველაზე მსხვილი მომხმარებელია მსოფლიოში. ალბათ, სწორედ ამიტომაა, რომ ქვეყანაში 475 მლნ სული ღორია.




**ყურადღება!**

დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.

**ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

**რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 29 3-37-87 მაჩაბლის ქ. №7.**

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

— **ძვირფასო**, სადილი მაგიდაზეა, — ეუბნება ცოლი ქმარს.

— რათა მაგიდაზე, თეფშზე ვერ დადე?

* * *

— **თქვენი** აზრით, რა დახატა მხატვარმა ამ ტილოზე, მზის ამოსვლა თუ ჩასვლა?

— რა თქმა უნდა, ჩასვლა.

— რატომ ხართ ასე დარწმუნებული?

— მე კარგად ვიცნობ ამ მხატვარს: ის სადილობამდე არასოდეს არ იღვიძებს.

* * *



**ტიპმა** წაიკითხა განცხადება სამსახურში მიღების შესახებ. თანამდებობაზე „კაცი, რომელიც წყვეტს პრობლემებს“. ხელფასი 10 000 დოლარი. გაიარა გასაუბრება და შესთავაზეს, დაუყოვნებლივ დაეწყო მუშაობა.

— გაქვთ რაიმე კითხვა? — ეკითხება დამსაქმებელი.

— მხოლოდ ერთი კითხვა მაქვს — როგორ შეგიძლიათ, საკუთარ თავს ამხელა ხელფასის გადახდის უფლება მისცეთ?

— აი, სწორედ ეს იქნება თქვენი პირველი გადასაჭრელი პრობლემა.

* * *

**ძვირფასო**, ოქრო იჟანგება?

— რატომ დაინტერესდი ამით?

— ახლა ამ საყურეებს ვათვალიერებ, შენ რომ მაჩუქე დაბადების დღეზე.

— ჰო, ძვირფასო, ზოგიერთი სახეობის ოქრო ცოტათი იჟანგება...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ბურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე